დანართი №1

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა
გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

27.02.2023

დასკვნის წარდგენის თარიღი
10.04.2023

თბილისი

შინაარსი

I. 4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა 5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან 6
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა 6
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა 10
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა 14
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა 16
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები 22

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204861970
დაწესებულების სახე	საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე - სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	გიორგი თავაძე - შპს-აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დავით გეგეჭკორი - სსიპ-აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქაართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეონა ბერიძე - სსიპ- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	დიმიტრი ცანავა - შპს-კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	German Studies - Culture, Politics, Society
უმაღლესი განათლების საფეხური	სამაგისტრო
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	გერმანიისმცოდნეობის მაგისტრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ინტერდისციპლინური - მოიცავს სოციალურ მეცნიერებებს, ჟურნალისტიკას, ინფორმაციის მართვას, 0388
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3]	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	120
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა (კურიკულუმი, მიღების წინაპირობები)

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

[3] მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა **„გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა საზოგადოება“** შემუშავდა კვალიფიკაციის ჩარჩოში განხორციელებული კონკრეტული ცვლილებების შემდგომ. მისი ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არსებობის აუცილებლობა განპირობებული იყო უწინარესად შრომის ბაზარზე გარკვეული მოთხოვნით, რომლის თანახმადაც კონკრეტული ინსტიტუციები საჭიროებდნენ გერმანულენოვანი მოხელეებისა და იმ სპეციალისტების დასაქმებას, რომელთაც ექნებოდათ კონკრეტული ცოდნა და გამოცდილება, ისევე როგორც კვლევის უნარები, გერმანიის სოციალურ, ისტორიულ და კულტურული თემებში, ხოლო დამატებითი კომპეტენციის თვალსაზრისით ექნებოდათ მაღალი ენობრივი კომპეტენცია, რომელიც საშუალებას მისცემდა დასაქმებულებს სრულყოფილად გამოეყენებინათ გერმანული ენა, როგორც კომუნიკაციისა და კვლევის ინსტრუმენტი.

საგანმანათლებლო პროგრამის ინტერდისციპლინურ რაკურსში წარმოდგენა გააფართოებდა საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებულ პირთა ჩართვას სასწავლო პროცესში, რომლის შედეგად კურსდამთავრებული, შემდგომში კი დასაქმებული, ფართოდ და ინტერდისციპლინურად განიხილავდა ერთ-ერთი უდიდესი ევროპული გერმანულენოვანი ქვეყნის პრობლემატიკას არა მარტო ქართული, არამედ რეგიონალური პერსპექტივიდანაც, რომელთანაც გერმანიის ურთიერთობის ისტორია სამ საუკუნეს ითვლის. ამდენად, პროგრამის შემუშავების საინიციატივო ჯგუფმა მიზნად დაისახა გერმანულენოვან სამყაროსთან აკადემიური ტრადიციის არა მხოლოდ შენარჩუნება, არამედ საგანმანათლებლო პროგრამის სამიზნე თემების გაფართოებით საკვანძო საკითხების გაღრმავება და კვლევა.

საგანმანათლებლო პროგრამა აგებულია დარგობრივი ბლოკების სისტემაზე (*კულტურათაშორისი და დარგობრივი კომუნიკაციის, გერმანიის პოლიტიკისა და საზოგადოების, გერმანული კულტურის* ბლოკები) და გერმანია, როგორც რეგიონი, სხვადასხვა დისციპლინათა რაკურსშია განხილული. ამასთან, საგანმანათლებლო პრგორამაზე სწავლას შეძლებენ სხვადასხვა დარგობრივი წინარეცოდნის მქონე აპლიკანტები, რომელთაც შესაძლებლობა ექნებათ, დარგობრივი ცოდნა გაიფართოვონ რეგიონმცოდნეობისათვის მნიშვნელოვანი დამატებითი დისციპლინათა მათთვის საინტერესო სასწავლო კურსებით, რაც გააფართოებს მათ კომპეტენციებს (ბლოკების ფარგლებში განიხილება ისეთი თემები, როგორებიცაა *გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პოლიტიკური, სამართლებლივი და ეკონომიკური სისტემები, გერმანული კულტურისა და ისტორიის მნიშვნელოვანი ასპექტები.* თეორიული ცოდნის გაღრმავება შესაძლებელი იქნება სხვადასხვა პრაქტიკული სემინარის ფარგლებში შედარებითი და კონტრასტული კვლევითი მეთოდების (*კვლევითი მეთოდების ბლოკი*) გამოყენებით. ამასთან, პროგრამის ფარგლებში არჩევითი ბლოკში განიხილება *ევროპული კონტექსტის* მნიშვნელოვანი თემები და მეტ-ნაკლებად სრულყოფილ წარმოდგენას შექმნის გერმანიის როგორც ქვეყნისა და ევროპის ნაწილის შესახებ).

საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები მნიშვნელოვან თემად მოიაზრებენ მაგისტრანტთა ცოდნის პრაქტიკაში განმტკიცების საკითხს, რაც ცალკეულ სასწავლო კურსებში ჩაშენებულია კიდეც. საკითხის მსგავს ჭრილში დაყენება ხელს შეუწყობდა კურსდამთავრებულის მომზადებას გერმანულ დაწესებულებებსა და წარმომადგენლობებში სამუშაოდ. მნიშვნელოვანია ასევე ის გარემოებაც, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია აკადემიური პერსონალი, რომელსაც აქვს დიდი გამოცდილება გერმანულ სივრცეში სწავლის, აკადემიურ პროცესებში ჩართულობისა და კვლევების, რაც არსებითი და გადამწყვეტი პოზიციაა სტუდენტთათვის გერმანულენოვან აკადემიურ სივრცეში ოპერირების კულტურის გაზიარების თვალსაზრისით.

საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში გათვალისწინებული იყო ანალოგიური პროგრამების შემუშავების ტრადიცია არა მარტო ევროპული (მიუნსტერისა და ზიგენის უნივერსიტეტები), არამედ ამერიკული (სტენფორდი, ჩიკაგო, არიზონის, კორნელის უნივერსიტეტები) აკადემიური სივრციდანაც. ამასთან ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოცდილებად დასახელდა ქართულ-გერმანული ურთიერთობების როგორც ისტორიული, ასევე აკადემიური და კულტურული გამოცდილების გაზიარება. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის ერთ-ერთ არსებით გადაწყვეტილებად უნდა ჩაითვალოს პროგრამის კონცეფციის მთავარ ორიენტირად განსაზღვრული,

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

ერთი მხრივ, პრაქტიკულ საქმიანობაზე, ხოლო, მეორე მხრივ კი, კვლევებზე ორიენტირებული კურსდამთავრებულის მომზადება.
პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი იზიარებს რა მოსაზრებას, რომ წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა ამ ეტაპზე ერთადერთია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, გეგმავს, რომ პროგრამა გერმანელ პარტნიორებთან აქტიური თანამშრომლობით განავითაროს.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2023 წლის 27 იანვრის N91361 ბრძანების თანახმად, ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში დაიგეგმა და განხორციელდა 2023 წლის 27 თებერვალს სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ***გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა საზოგადოება*** აკრედიტაციის სტანდარტებთან მიმართებაში შეფასების მიზნით.
აკრედიტაციის ვიზიტი წარიმართა წინასწარ განსაზღვრული დღის წესრიგის მიხედვით პირისპირ საუნივერსიტეტო კამპუსში. დღის წესრიგის თანახმად შეხვედრები შედგა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ჯგუფთან, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან, მომიჯნავე პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან, ისევე როგორც დამსაქმებლებთან. ინტერვიუები წარიმართა ჰიბრიდულად, რიგ შემთხვევაში ინტერვიუერებთან კომუნიკაციის მიზნით გამოყენებული იყო ელექტრონული პლატფორმა Zoom. ვიზიტში მონაწილეობას იღებდნენ ასევე სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები, რომელთაც ექსპერტთა ჯგუფი მიმართავდა ტექნიკური საკითხების გადასაჭრელად, დაწესებულებასთან კომუნიკაციის პროცესში და ცალკეული საკითხის კონსულტირების მიზნით.
დაწესებულებაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო როგორც საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის პორტფოლიოებს, ასევე საექსპერტო ვიზიტის საორგანიზაციო მასალებს. განაწილდა ფუნქციები ესპერტთა შორის და შეჯერდა მოსაზრებები აკრედიტაციის სტანდარტების მიხედვით. ჯგუფმა იმსჯელა ვიზიტის ცალკეულ დეტალებზე.
ექსპერტთა თხოვნითა და აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენელთა ჩართულობით გამოთხოვილი იქნა საკვალიფიკაციო ნაშრომები მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამებიდან, რაც დაწესებულებამ ვიზიტის პროცესში დააკმაყოფილა .
ვიზიტის პროცესი წარიმართა მშვიდ, აკადემიურ და საქმიან ვითარებაში, რაც გამოიხატა შეხვედრებში მონაწილე ორივე მხარის მზაობით, წარმოედგინათ და წარმოეჩინათ საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობა და დარგობრივად საინტერესო დეტალები, ისევე როგორც ემსჯელათ და გამოეპირობებინათ პროგრამის ახალი განმავითარებელი პერსპექტივები. კომუნიკაციის პროცესი იყო გამჭვირვალე და ურთიერთთანამშრომლობაზე ორიენტირებული. ექსპერტთა დასკვნა მომზადდა შესწავლილი მასალებისა და ინტერვიუების ჩაღრმავებული ანალიზისა და ინტერპრეტაციის საფუძველზე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სტანდარტი 1: საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - **მეტწილად შესაბამისი (სრული შესაბამისობა დადგინდა 1.1, 1.2, 1.3 კომპონენტებში, ხოლო მეტწილი კომპონენტებში - 1.4 და 1.5);**
სტანდარტი 2: სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - **სრულად შესაბამისი (სრული შესაბამისობა კომპონენტებში 2.1, 2.2, 2.3, 2.4);**
სტანდარტი 3: სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - **სრულად შესაბამისი (სრული შესაბამისობა კომპონენტებში 3.1, 3.2);**
სტანდარტი 4: სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - **სრულად შესაბამისი (სრული შესაბამისობა კომპონენტებში 4.1, 4.2, 4.3, 4.4, 4.5);**
სტანდარტი 5: სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - **სრულად შესაბამისი (სრული შესაბამისობა კომპონენტებში 5.1, 5.2, 5.3);**

- **რეკომენდაციები**

კომპონენტი 1.4:

- რეკომენდირებულია საგანი „პირველი მსოფლიო ომი და საქართველო“ არჩევითი ბლოკიდან გადავიდეს სავალადებულო საგანთა ბლოკში;

კომპონენტი 1.5:

- გადაიხედოს სავალდებულო ბლოკის კულტურათაშორისი და დარგობრივი კომუნიკაცია ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსები და დაზუსტდეს სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე;
- მიზანშეწონილია დაზუსტდეს შეფასების ფორმები და რუბრიკები გერმანული ენის პრაქტიკული კურსების C1.1, C1.2 და C1.3 სილაბუსებში, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვა.
- დაემატოს არჩევით ბლოკს სასწავლო კურსი, რომელიც განიხილავს გერმანიისა და ნატოს-ს ურთიერთობებს, ნატოს საგარეო პოლიტიკის ასპექტებს.
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსს ,,დიალოგურობიდან ინტერმედიალობამდე: ლიტერატურის კომპარატისტული კვლევის ძირითადი პრინციპები” დაშვების წინაპირობად მიეთითოს ინგლისური ენის ფლობა, ან ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა განისაზღვროს როგორც დამატებითი სასწავლო რესურსი.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კომპონენტი 1.2:

- სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა სწავლის შედეგების რუკაში პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილი სურათის ვიზუალიზაციის მიზნით.

კომპონენტი 1.4:

- სასურველია გაფართოვდეს პროგრამის სავალდებულო ბლოკი („გერმანული კულტურა“) ისეთი სასწავლო დისციპლინებით, რომლებიც გერმანული კულტურის სხვა სფეროებსაც (მუსიკა, არქიტექტურა, ფერწერა და სხვ.) მოიცავენ;
- სასურველი დამატებით განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე დაშვების წინაპირობა.

კომპონენტი 1.5:

- სასურველი იქნებოდა, თუკი სასწავლო კურსებში „კანტის ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება“, „ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერება“: ტექსტი და კონტექსტი“, „ფრიდრიხ ნიცშე და მორალის გენეალოგია“ და „ვალტერ ბენიამინის თეზისები ისტორიის ცნების შესახებ“ ძირითადი ლიტერატურის დიდი ნაწილი გერმანულენოვანი წყაროები იქნება;
- სასურველია დაკორექტირდეს სილაბუსში ,,გარდატეხის რეპრეზენტაცია პოსტტოტალიტარულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებაში” არსებული ტექნიკური უზუსტობა და სწავლების საფეხურად მითითებულ იქნას სამაგისტრო საფეხური;
- სასურველია დაზუსტდეს სასწავლო კურსების ,,დიალოგურობიდან ინტერმედიალობამდე: ლიტერატურის კომპარატისტული კვლევის ძირითადი პრინციპები” და ,,ლიტერატურის სოციოლოგია: პროდუქცია, დისტრიბუცია, რეცეფცია” სწავლის მიზანი - ,,მისცეს მომავალ ლიტერატურათმცოდნეებს სიღმისეული ცოდნა ლიტერატურის შედარებითი კვლევის ძირითადი პრონციპებისა და კატეგორიების შესახებ” და მოვიდეს სრულ თანხვედრაში პროგრამის მიზნებთან;
- სასურველია სილაბუსში ,,გარდატეხის რეპრეზენტაცია პოსტტოტალიტარულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებაში” განისაზღვროს ძირითადი ლიტერატურა.

კომპონენტი 2.1

- *სასურველია შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი პროგრამის მიღების დოკუმენტში, კერძოდ, ზეპირი გამოცდის/გასაუბრების „კომუნიკაციის და ლოგიკური მსჯელობის უნარის“ კომპონენტის პირველ ქვეკომპონენტში.*

კომპონენტი 2.4

- სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში მკაფიოდ გაიწეროს, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ერთიანად, დასკვნითი შეფასების მეშვეობით, რომელიც დოკუმენტში მითითებულ ოთხივე ელემენტს მოიცავს.

კომპონენტი 4.5

- სასურველია გადაიხედოს ბიუჯეტში პროგრამულ უზრუნველყოფაზე გამოპირობებული ხარჯები.

▪ **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

საგანამანათლებლო პროგრამის მნიშვნელოვან მიგნებად შეიძლება ჩაითვალოს კურსდამთავრებულთა მიერ ორი რადიკალურად განსხვავებული კომპეტენციის შეძენა, პირველი - პრაქტიკულ საქმიანობაზე ორიენტირებული დარგის სპეციალისტი; მეორე კვლევებზე ორიენტირებული დარგის პეციალისტი; ისევე როგორც სტუდენტის ფართო აკადემიური თავისუფლების შესაძლებლობა ავტონომიურობის მაღალი ხარისხით საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების დაგემვის პროცესში.

▪ **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 06/04/2023 კორესპონდენციისა (MES 6 23 0000390167) და ამავე კორესპონდენციაზე დართული სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის 04/04/2023 არგუმენტირებული წერილის (35/2734) საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა საექსპერტო დასკვნის შესაბამისი ჩანაწერები და მიიღო გადაწყვეტილება:

- ✓ **რეკომენდაცია, გაცემული კომპონენტში 1.4** (*რეკომენდებულია დამატებით განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე დაშვების წინაპირობა.*) გადავიდეს შესაბამის რჩევების რუბრიკაში, გამომდინარე არგუმენტირებულ წერილზე თანდართული მტკიცებულებისა და საგანმანათლებლო პროგრამაში დამატებული განმარტებითი ჩანაწერიდან (”სამაგისტრო ნაშრომზე დაშვების წინაპირობაა პროგრამით მოთხოვნილი ყველა სავალდებულო სტატუსის მქონე სასწავლო კურსის გავლა.”);
- ✓ **რეკომენდაცია, გაცემული კომპონენტში 2.1** (*შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი პროგრამის მიღების დოკუმენტში, კერძოდ, ზეპირი გამოცდის/გასაუბრების „კომუნიკაციის და ლოგიკური მსჯელობის უნარის“ კომპონენტის პირველ ქვეკომპონენტში*) გადავიდეს შესაბამის რჩევების რუბრიკაში, გამომდინარე არგუმენტირებულ წერილზე თანდართული მიღების დოკუმენტისა და შესაბამისი კორექტირებული ჩანაწერიდან (წარმოდგენილ დანართში შეიცვლა აქამდე არსებული ჩანაწერი: ”ქართულ და ინგლისურ ენებზე გამართული კომუნიკაციის უნარი”, შეცვლილი ფორმულირების თანახმად იკითხება: „ქართულ და გერმანულ ენებზე გამართული კომუნიკაციის უნარი”).

წინამდებარე ცვლილებების მიუხედავად არ შეცვლილა შეფასების საერთო სურათი.

▪ **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ***გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება*** მიზნები განისაზღვრა და ჩამოყალიბდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისიის, ღირებულებებისა და ხედვის, საუნივერსიტეტო სტრატეგიის, ისევე როგორც ამავე ინსტიტუციის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის 2024-2028 წლების სტრატეგიის თანახმად. წინამდებარე სამოქმედო დოკუმენტების შესაბამისად, დაწესებულების ფოკუსში ექცევა ისეთი მიზნები, რომელიც ორიენტირებულია საზოგადოების პროგრესსა და ჰარმონიულ განვითარებაზე, რასაც ძირეულ ფუნდამენტს უქმნის *ცოდნის შექმნა და გადაცემა, ამ უკანასკნელის საზოგადოებისა და მეცნიერების განვითარების სამსახურში ჩაყენება.* მსგავსი საზოგადოება კი ვითარდება *კვალიფიციური, ეთიკური და კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მიერ, რაც ერთიანობაში ქმნის ცოდნასა და ღირებულებაზე აგებულ სამოქალაქო საზოგადოებას.*

საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებში ცალსახად იკითხება, რომ პროგრამის ფარგლებში მომზადდება დარგის სპეციალისტი, რომელსაც ექნება ინტერდისციპლინური, კომპლექსური და სისტემური ცოდნა გერმანიის კვლევების სფეროში, განუვითარდება კვლევითი უნარები, რომლის საფუძველზე განხორციელდება საქართველოს არქივებსა და საცავებში დაცული გერმანელთა კულტურული მემკვიდრეობის კვლევა სხვადასხვა რაკურსში. კვლევების პროცესი დაემყარება ინტერდისციპლინურ ცოდნას. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა მიზნად ისახავს ერთი მხრივ პრაქტიკაზე ორიენტირებული ცოდნის მქონდე კურსდამთავრებულის, ხოლო, მეორე მხრივ, დარგის მკვლევრის მომზადებას.

საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს სამი საუნივერსიტეტო მისიის ერთიანობის პრინციპს და შესაბამისად, პროგრამის მიზნებში ლოგიკურადაა ორგანიზებული კვლევისა და სწავლების, ზოგადი განათლებისა და დარგის, ისევე როგორც უნივერსალურისა და ლოკალურის ერთიანობა. ფაქტობრივი ვითარებიდან გამომდინარე, ითვალისწინებს რა დარგის სპეციფიკას, საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები რეალურად ასახავს საუნივერსიტეტოს მიზნებზე დაფუძნებულ ყველა იმ ღირებულებას, რაც ესაჭიროება საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებულს, რათა მან წვლილი შეიტანოს საზოგადოებისა და დარგის განვითარებაში. შესაბამისად, მიზნები საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსის განზოგადების საფუძველზე მიღწევადია.

საგანმანათლებლო პროგრამა, ისევე როგორც ყველა სხვა საგანმანათლებლო პროგრამები ინსტიტუციაში, განთავსდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე, მას შემდეგ, რაც დასრულდება სააკრედიტაციო ფაზა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მისია: https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/mission;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: https://iliauni.edu.ge;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის ვებ-გვერდი: https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269;

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.1 პროგრამის მიზნები	☑	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების თანახმად კურსდამთავრებული:

- საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ყალიბდება როგორც დარგობრივი ცოდნისა და კვლევითი უნარების მქონე კონკურენტუნარიანი სპეციალისტი, რომელიც შემდგომში თავისი საქმიანობით კონცენტრირდება, ერთი მხრივ, პრაქტიკულ საქმიანობაზე, ხოლო მეორე მხრივ, იტერდისციპლინურ კვლევებზე გერმანულენოვანი რეგიონის ფარგლებში;
- კვლევის ფარგლებში იზრუნებს საქართველოში არსებული გერმანულენოვანი კულტურული მემკვიდრეობის დამადასტურებელი არტეფაქტებისა და გერმანიისა და საქართველოს სოციალურ-კულტურულ ურთიერთმიმართებათა შესწავლაზე;
- კულტურათა დიალოგის ფარგლებში წარმართავს საკუთარ პრაქტიკულ და კვლევით საქმიანობას და წვლილს შეიტანს რეგიონში დარგისა და ინტერდისციპლინური კვლევების განვითარებაში.

მოცემულ სამიზნე პუნქტებს ლოგიკურად უკავშირდება სწავლის შედეგები, ითვალისწინებს რა სწავლის სფეროს თავისებურებებსა და საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში ჩაშენებული ინტერდისციპლინარიზმის საკმაოდ ფართო სპექტრს, რაც განაპირობებს უწინარესად იმ ფართო ცოდნისა და შესაძლებლობების ჩამოყალიბებას, რომლის საფუძველზე კურსდამთავრებული გერმანიის კულტურას აკვირდება და შეისწავლის როგორც სინქრონიაში, ისე დიაქრონიაში სხვადასხვა განასერში, კონკრეტულად ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ასევე სამართლებრივ ასპექტში. პროგრამის მიერ მაგისტრანტისთვის შეთავაზებული დაკვირვების სხვადასხვა ასპექტი მოაზრებულია არა როგორც ქვეყნის შიგნით მიმდინარე პროცესების კვლევა, არამედ ყველა ეს თემა განიხილება როგორც გლობალური კონტექსტის შემადგენელი საკითხი, რითაც კურსდამთავრებულს საშუალება ეძლევა არსებითი და გლობალური საკითხების ფონზე გაიაზროს ისეთი კონკრეტული მიმართებები, რომლებიც საქართველოსა და გერმანიას შორის არსებობენ..

გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზანია მკვლევრის ჩამოყალიბება, საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების თანახმად, გარდა დარგობრივი ცოდნისა, კურსდამთავრებული ადასტურებს სოციალური კვლევის მეთოდების ცოდნასა და გამოყენების კომპეტენციებს, კვლევის საკითხს აკვირდება ინტერდისციპლინურად იყენებს რა შემეწილ ცოდნას სოციალური მეცნიერებების სხვადასხვა მიმართულებით. რეგიონის ცოდნის გამყარება ხდება არა მხოლოდ სოციალურ, ისტორიულ, კულტურული და პოლიტიკურ-სამართლებრივი დარგობრივი ცოდნის საფუძველზე, არამედ წინამდებარე ცოდნა ღრმავდება გერმანული ენის მაღალი კომპეტენციების შემუშავებით არამხოლოდ საკომუნიკაციო, არამედ დარგობრივი ენის ფარგლებში, რაც შედეგების მიხედვითაც დასტურდება.

წიანმდებარე სამაგისტრო პროგრამა საშუალებას იძლევა, საგანმანათლებლო პროგრამის დასასრულს კურსდამთავრებულის ჩამოყალიბდეს როგორც პრაქტიკოსი რეგიონთმცოდნე მაღალი ენობრივი და დარგობრივი კომპეტენციით, ან ინტერდისციპლინური კვლევების განმახორციელებელი პროფესიონალი, რომელიც შეძლებს, იკვლიოს, ერთი მხრივ, გერმანული კულტურული მემკვიდრეობა საქართველოში, ან წარმართოს შედარებითი და სოციალური კვლევები.

შესაბამისად, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის შედეგები შეესაბამება დარგობრივ მახასიათებელს, ისევე როგორც უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს, შესაბამისი საფეხურის აღმწერსა და მისანიჭებელ კვალიფიკაციას. შედეგები გაზომვადია და რეალისტური, იმდენად რამდენადაც მასში ასახულია დარგისთვის საჭირო ცოდნა, უნარები, ისევე როგორც განსაზღვრულია კონკრეტული პასუხისმგებლობები და ავტონომიურობის ხარისხი. საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ ჯგუფს, დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ზუსტად აქვს განსაზღვრული კვლევის მეთოდები, რაც ფარავს პროგრამის თემატური ჯგუფების საკვლევ საკითხებს და ხელს უწყობს ინტერდისციპლინური კვლევების განვითარებას. ყოველივე ეს დასტურდება საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსით, სტრუქტურითა და მისი შემადგენელი ცალკეული კომპონენტებით.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები ვიზუალურად ასახულია და წარმოდგენილია რუკის სახით. ექსპერტთა ჯგუფმა დეტალურად განიხილა კურიკულუმის შედეგების ამსახველი რუკა, სადაც პირობითობას გარკვეულწილად შემოჰქონდა ბუნდოვანება მკვეთი მიმართებების დაკავშირებისას. გარდა ამისა, სავალდებულო კურსების ბლოკებში არ იყო არც ერთი სასწავლო კურსი, რომელიც გააზრებული იქნებოდა **განმტკიცების** მანიშნებლით, ხოლო სასწავლო კურსები, რაც მონიშნულია წინამდებარე მანიშნებლით, არის არჩევითი ბლოკიდან, რაც ბადებს შეკითხვას: რომ არ იქნას შერჩეული კონკრეტული სასწავლო კურსი (ამ შემთხვევაში, რუკაზე არც სასწავლო კურსი იყო მითითებული, რომ ცხადი გამხდარიყო რამდენად დიდია ალბათობა, რომ სტუდენტმა სწორედ ის გამაღრმავებელი კომპეტენციის კურსი შეარჩიოს!), რამდენად იქნებოდა შედეგი მიღწევადი? გარდა ამისა, წინამდებარე რუკაში სამაგისტრო ნაშრომი არ არის განხილული არც ერთ შედეგთან მიმართებაში, რაც ფაქტობრივად შეუძლებელია, ვინაიდან სამაგისტრო ნაშრომში ხდება როგორც სასწავლო კომპონენტების შედეგად დაგროვილი ცოდნისა და უნარების ასახვა, ასევე კვლევის ტექნიკებისა და უნარების შეფასება. სავარაუდოდ, რაც **გაცნობის** მანიშნებლითაა მონიშნული მეთოდების ბლოკიდან (კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფს მხედველობაში აქვს *კვლევის მეთოდები და სამაგისტრო ნაშრომი*) ნაწილობრივ არამართებულად გადმოსცემს შედეგის აღწერას. ამ შემთხვევაში აქცენტრი გაკეთდა *სამაგისტრო ნაშრომზე,* რაც ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, რომ ტექნიკური შეცდომა იყო და, შესაბამისად, უნდა დაფიქსირებული სამაგისტრო ნაშრომის ნაცვლად *სამაგისტრო სემინარი*, თუმცა ამ შემთხვევაშიც სამაგისტრო სემინარს ექნებოდა **გაღრმავების** მანიშნებელი, ხოლო აკადემიურ წერას **გაცნობის**. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა რჩევის სახით ვიზიტის პროცესში გამოთქვა მოსაზრება, საგანმანათლებლო პროგრამის შედეგების დეტალური გადახედვის შემდგომ, კურიკულუმის რუკაში ტექნიკური უზუსტობების დაზუსტების და მანიშნებელთა რუბრიკების სრულყოფილი შევსების შესახებ.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებისა და შედეგების რუკები;
- ინტერვიუები საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გასწორდეს ტექნიკური უზუსტობა სწავლის შედეგების რუკაში პროგრამის სწავლის შედეგების სრულყოფილი სურათის ვიზუალიზაციის მიზნით.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	☑	☐	☐	☐

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

➢ განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის პორტფოლიოში წარმოდგენილი ქონდა ყველა ის სავალდებულო საუნივერსიტეტო რეგულაცია და წესი, რომლითაც ხელმძღვანელობს საგანმანთლებლო პროგრამის მხარდამჭერი ჯგუფი, როდესაც შეიმუშავებს და ახორციელებს საგანმანათლებლო პროგრამას. გარდა ამისა, მსგავსი მასალების მოძიება და გაცნობა შესაძლებელია ინსტიტუციის ვებ-გვერდზე. მათ შორის უნდა დასახელდეს:

- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახურის დებულება;

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ასევე შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საგანმანათლებლო პროგრამის რეგულარული და მიზნობრივი მართვისათვის კურიკულუმების ამუშავების დღიდან მასში აქტიურად მონაწილეობს პროგრამის ადმინისტრატორი, რომელიც პერიოდულად ახორციელებს საგანმნათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით კონკრეტულ ღონისძიებებს, რომელშიც ჩართულია როგორც განათლების ექსპერტთა არა მარტო ადგილობრივი ძალები, არამედ გარე ექსპერტები.

გამომდინარე იმ გარემოებიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ახალია, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში ერთ-ერთ აქტუალურ ფაქტორად შეიძლება მოაზრებულ იქნას კომუნიკაცია გარე მხარდამჭერებთან. პროგრამის ამუშავებისთანავე ის დაექვემდებარება იმ საუნივერსიტეტო წესსა და პროცედურებს, რაც გაწერილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების წესის მიხედვით. შესაბამისად, მოცემულ შემთხვევაში ამუშავდება ყველა ის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი, რაც მნიშვნელოვანია მსგავსი პროცესების სამართავად, კერძოდ, შეგროვდება მონაცემები, რომელთა დამუშავების შემდგომ მომზადდება ანალიზი, რომლის საფუძველზე პროგრამის მხარდამჭერი ჯგუფი დასახავს ახალ ღონისძიებებს საგანმანათლებლო პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. კვლევისთვის სავალდებულო ინსტრუმენტარიუმში ინსტიტუციას გაწერილი აქვს ორი მნიშვნელოვანი ფაზა, კერძოდ, განხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტების გამოკითხვა საკვალიფიკაციო ნაშრომებთან დაკავშირებით და ამავდროულად, პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი იზრუნებს დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტებისა და შემდგომში კურსდამთავრებულთა კვლევის შედეგების გაანალიზებასა და ანალიზის შედეგების მიხედვით გასაუმჯობესებელი ღონისძიებების დაგეგმვაზე.

ამრიგად, პროგრამის შეფასებისთვის შემუშავებულია შიდა თვითშეფასების მექანიზმი, რომელიც ითვალისწინებს მოცემულ პროცესში სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების (სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, გარე შემფასებლის, პროგრამის ხელძღვანელების, სამუშაო ჯგუფების და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის) ჩართულობას. პროგრამის თვითშეფასების მიზნით გამოიყენება სამაგისტრო საფეხურის პროგრამისთვის შემუშავებული თვითშეფასების ინსტრუმენტები, რომელიც ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით შემდეგი თვისებრივი და რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებას (მათ შორის სასწავლო პროცესებზე ორიენტირებულ ინსტრუმენტთა შორის გაწერილია მონაცემების შეგროვება შემდეგი მიმართულებით):

- აკადემიური მოსწრება;

- ყოველსემესტრული გამოკითხვა საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი სასწავლო კურსების შეფასების მიზნით;
- გამოკითხვა საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მიზნით;
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება;
- პროგრამის სწავლის შედეგების პირდაპირი შეფასება სამიზნე ნიშნულების საფუძველზე;
- დამსაქმებლების უკუკავშირი პროგრამის შესახებ;
- საგანმანათლებლო პროგრამის კოლეგიალური შეფასება (გარე შეფასება);
- სტუდენტების გამოკითხვა სამაგისტრო ნაშრომებთან დაკავშირებით;
- დამამთავრებელი სემესტრის სტუდენტების და კურსდამთავრებულების კვლევის შედეგების ანალიზი.

წინამდებარე ინსტრუმენტების ჩამონათვალის ანალიზმა აჩვენა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისა და მისი ცალკეული კომპონენტების (როგორც სასწავლო, ისე კვლევითის) შეფასება განხორციელდება როგორც შიდა, ასევე, გარე შეფასები ფორმატში. მოცემულ ეტაპზე წარმოდგენილი მტკიცებულებებისა და ინტერვიუების მიხედვით ექსპერტთა ჯგუფისთვის ცხადი გახდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალს მცდელობა ჰქონდა საგანმანათლებლო პროგრამა გაეცნო არა მხოლოდ საუნივერსიტეტო საზოგადოების, არამედ გარე მხარდამჭერებისათვის, რაც განხორციელდა თბილისის გოეთეს ინსტიტუტის აქტიური მხარდაჭერითა და ჩართულობით. ფაქტობრივად, პროგრამის მხარდამჭერი კომიტეტი არ შესულა დეტალურ კვლევაში გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ჯერ არ ჰყავს პროგრამაში ჩართული სტუდენტთა ჯგუფი. ინტერვიუების შემდეგ დადასტურდა, რომ მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები, პოტენციური დამსაქმებლები (როგორებიცაა, მაგალითად, გოეთეს ინსტიტუტი, კონრად ადენაუერის ფონდი) დეტალურად იცნობდნენ ახალ საგანმანათლებლო პროგრამას და ცალკეულ კომპონენტების მიმართ გამოთქმული ჰქონდათ კონკრეტული რეკომენდაციები და რჩევები, რაც საგანმანათლებლო პროგრამის წინასწარი შეფასების ტოლფასია და ხელს უწყობს პროგრამის რეალურად და მართებულად ფუნქციონირებას.

საგანმანათლებლო პროგრამა უცხოა და პირველი ქართული საგანმანათლებლო სივრცისთვის გერმანისტიკის მიმართულებით, თუმცა ინსტიტუციას აქვს გამოცდილება და ახორციელებს მსგავს ინტერდისციპლინურ კვლევებს. ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს საგანმანათლებლო პროგრამების საერთაშორისო გამოცდილება დაწესებულებაში, რაც გამიზნულად გამოიყენა საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელმა პერსონალმა, რათა განხორციელებულიყო პროგრამის გარე შეფასება. შესაბამისად, ერთი მხრივ, საგანმანათლებლო პროგრამა მხარდაჭერილი იყო გერმანული უნივერსიტეტებიდან. მათ შორისაა იენის ფრიდრიხ შილერის უნივერსიტეტი, რომელიც აქტიურად ჩართულია ილიას უნივერსიტეტის არაერთი საგანმანათლებლო პროგრამის მუშაობაში. ახალი საგანმანათლებლო პროგრამის ამოქმედება მნიშვნელოვანი აღმოჩნდა გერმანელი მხარისთვის იმდენად, რამდენადაც მათი თვალსაზრისით საგანმანათლებლო პროგრამის ინტერდისციპლინური კვლევითი ნაწილი, რითაც წინამდებარე უნივერსიტეტი უკვე წლებია დაკავშირებულია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ცალკეულ საგანმანათლებლო პროგრამებთან, მოცემულ შემთხვევაში კიდევ უფრო გაფართოვდებოდა.

მხარდაჭერის წერილი მომზადდა, ასევე, ზიგენის უნივერსიტეტის მხრიდან, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამის ერთგვარ შეფასებასაც ახდენს, თუმცა არასრულს, კერძოდ, ის სასწავლო კურსების შეფასებით შემოიფარგლება, იმდენად რამდენადაც სასწავლო კურსების მართებული შერჩევა ქმნის საფუძველს კვლევებში ინტერდისციპლინარიზმის სრულად დანახვისათვის.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებას გარე დამკვირვებლებისა და დარგის ექსპერტების მხრიდან, ამ ტიპის დოკუმენტი მომზადებული იყო და წარმოდგენილი იყო უფსალას უნივერსიტეტის პროფ. ფრანკ თომას გრუბის მხრიდან. ექსპერტს სიღრმისეულად აქვს შესწავლილი სასწავლო კურსებისა და საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები, რომლის საფუძველზე ერთიანი ბმულობის პრინციპით შეთავაზებული აქვს ცალკეული რეკომენდაციები (მაგ., ექსპერტი მნიშვნელოვნად მიიჩნევს ევროპული ასპექტის ჩაღრმავებულ მოდულს, რაც ფართოდაა წარმოდგენილი პროგრამის სტრუქტურაში და შემდგომში კიდევ უფრო გააფართოვებს კვლევის თემატიკას; ექსპერტი კარგად ხედავს, თუ როგორ უვითარებს საგანმანათლებლო პროგრამა ზოგად კომპეტენციებს შემსწავლებებს, როგორიცაა მაგ., ტექსტის, ანალიზის, შეფასების კომპეტენციები, თუ „კრიტიკული აზროვნება“, თუმცა აქვე წინამდებარე მოცემულობას უყურებს დასაქმების ბაზრის ჭრილში და აღნიშნავს, რომ უმჯობესი იქნებოდა, რომ კიდევ უფრო ცხადად იყოს ჩამოყალიბებული შედეგების ეს ნაწილი; ის ასევე სთავაზობს პროგრამის განმახორციელებლებს საგამომცემლო საქმისა

და თარგმანის მიმართულებით პროგრამის კურიკულუმის თემატიზირებას, რაც კურიკულუმის განმახორციელებელ ჯგუფს ზუსტად აქვს დანახული და ასახული უკვე პროგრამის სტრუქტურაში, კერძოდ, საგანმანათლებლო პროგრამით დაინტერესებული პირთათვის შეთავაზებულია 4 სასწავლო კურსი თარგმანის მიმართულებით, რომლებიც ორიენტირებულია, არა მხოლოდ დარგობრივ, არამედ ლიტერატურულ თარგმანზეც. ამავდროულად კომპეტენციების ჩაღრმავების მიზნით სასწავლო კურსების კატალოგში შეთავაზებულია ასევე სასწავლო კურსი, რომელიც, ერთ მხრივ, მოიცავს ისეთ თემებს, როგორებიცაა საგამომცემლო საქმე და პროდუქციის დისტრიბუცია, ხოლო მეორე მხრივ, ამავე კურსში იფარება რეცეფციის თემები, რაც მნიშვნელოვანი თემაა თარგმნის პროცესისათვის. ფაქტობრივად, მოცემული სასწავლო კურსის მეშვეობით სტუდენტი იაზრებს ლიტერატურის სოციოლოგიის საკითხებს. ექსპერტს დასაბუთებული რჩევა აქვს გაცემული, რომ დაკორექტირებულიყო ცალკეული სასწავლო კურსების სათაურები, რათა სტუდენტები სასწავლო კურსების შერჩევისას ზუსტად ყოფილიყვნენ ინფორმირებული და ზუსტი ყოფილყო მათი მოტივაციისთვის მხარდაჭერა, რაც განხორციელდა შესაბამისი კურსებისათვის, როგორებიცაა: *გერმანული რომანები და მათი ეკრანიზაციები, ინტერ-ტრანსკულტურულობა გერმანულ ლიტერატურაში*, რაც საგანმანათლებლო პროგრამას რეალისტურად და პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე ასახული აქვს კურიკულუმის სტრუქტურაში.

მოცემული პროგრამისთვის, ბუნებრივია, წინამდებარე ეტაპზე პრაქტიკულად შეუძლებელი იყო სწავლის შედეგების ანალიზი, მაგრამ პროგრამულ კომიტეტს სწავლის შედეგები ფორმალურად გაანალიზებული და სავარაუდო გათვლებით წარმოდგენილი აქვს *სამიზნე ნიშნულების* რუკის სახით, სადაც შერჩეული სასწავლო კურსები სწავლის შედეგებთან მიმართებით ძირითადად მონიშნულია სავალდებულო ბლოკებიდან და არის სწორედ სისტემური ცოდნის მიმცემი სასწავლო კურსები. შერჩევის პრინციპიც ნათელია, კერძოდ, პირველ რიგში დაკვირვების ობიექტი იქნება სასწავლო კურსი „გერმანული კულტურა“, რომელიც ფართო გაგებით მოიცავს გერმანიის კვლევების პრაქტიკულად ყველა არსებით თემას, გამომდინარე იქიდან, რომ კულტურა ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები ცალკეული დარგების გადამფარავია. სასწავლო კურსებს შორის სწავლის შედეგების 6, 7 და 8 პუნქტებისათვის შერჩეულია სავალდებულო ბლოკები *კულტურათაშორისი და დარგობრივი კომუნიკაცია, გერმანული კულტურა, გერმანიის პოლიტიკა და საზოგადოება*, რომელთა შინაარსები ზუსტად მოიაზრებს საკვალიფიკაციო ძირეულ კომპეტენციებს. 3, 4, და 5 სწავლის შედეგი კი უშუალოდ უკავშირდება სამაგისტრო სემინარსა და სამაგისტრო ნაშრომს, რომელთა ერთობლიობა ქმნის საბოლოო კვლევით პროდუქტს, რაც არსებითია სამაგისტრო საფეხურისთვის.

შეფასების პერიოდის ანალიზმა აჩვენა, რომ ძირითადი შეფასებები განხორციელოდება მე-2, მე-3 და მე-4 სემესტრებში, საიდანაც იწყება სწორედ ის სასწავლო კურსები, რომელიც აღრმავებს დარგობრივ კომპეტენციებსა და ქმნის საფუძველს კვლევითი პროცესის სრულყოფისათვის.

სამიზნე ნიშნულებში კი იკითხება მინიმალური ზღვრის ნიშნული, რომელიც, მართალია, ორიენტირებულია საშუალო მოსწრების სტუდენტზე, რომელსაც უნდა უდასტურდებოდეს საბოლოო შეფასებისას 50%-ზე მაღალი შედეგი, თუმცა ამ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა 60%, რაც პროგრამის შემდგენლების მხრიდან განიმარტა იმით, რომ მოცემულ საფეხურზე სტუდენტები გადადიან თვისობრივად ახალ, - კერძოდ კი კვლევების სეგმენტში, რაც მათგან ცალკეული კომპეტენციებისა და უნარების გაფართოებას მოითხოვს. გარდა ამისა საგანმანათლებლო პროგრამა ინტერდისციპლინურია და ამავდროულად პირველად ხდება მისი განხორციელება დაწესებულების მხრიდან, შესაბამისად, პირველი სამიზნე ნიშნულებში კორექტირება შესაძლოა მოხდეს პროგრამის ამოქმედებიდან ორი წლის თავზე, ანუ მას შემდეგ, რაც დასრულდება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების პირველი სრული კურსი, რაც პროგრამის განმახორციელებლებს სრულფასოვანი დაკვირვების საშუალებას მისცემდა.

სწავლის შედეგების შეფასების პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის გარდა, ასევე, ჩაერთვება მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების ჯგუფი, რომელიც იმუშავებს არამარტო სასწავლო კომპონენტების დაკვირვებასა და შეფასებაზე, არამედ ახალი აკადემიური პერსონალის მოზიდვის შემთხვევაში სასწავლო პროცესის ღია კოლეგიურ შეფასებაზე.

პროცესების შეფასების გარდა დაწესებულების ადმინისტრაცია და უწინარესად ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივ მზაობას გამოთქვამს სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით, ტრენინგ-მოდულების შეთავაზებით დამატებით მხარი დაუჭიროს აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს სასწავლო და კვლევითი პროცესების გაუმჯობესების მიზნით, რათა საგანმანათლებლო

პროგრამის თვითშეფასების პროცესი იყოს რეალისტური და შედეგების მომცემი, რომელთა შორის საუკეთესო პრაქტიკა გაზიარებული იქნება ინსტიტუციის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახურის დებულება;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები;
- საგანმანათლებლო პროგრამის რუკები;
- სააკრედიტაციო პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	☑	☐	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მართვის სტრუქტურებს შემუშავებული აქვს ყველა ის საუნივერსიტეტო წესი და რეგულაცია, რომელიც დაფუძნებულია როგორც ქართულ ისე საერთაშორისო სტანდარტებზე, რაც შემდგომში ამარტივებს და შედეგზე ორიენტირებულს ხდის კომუნიკაციას როგორც ინსტიტუციის შიგნით მართვის ორგანოებს, ისე მის ფარგლებს გარეთ მოქმედ გარე აქტორებთან როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე, მის ფარგლებს გარეთ.

წინამდებარე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა დაიგეგმა და განხორციელდა ყველა იმ წესისა და რეგულაციის საფუძველზე, რომელიც ინსტიტუციას შემუშავებული აქვს სახელმძღვანელო დოკუმენტის ***საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები*** ფარგლებში. შესაბამისად, აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამა შესაბამისობაშია *საქართველოს კანონმდებლობასთან, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა/პროფესიულ სტუდენტთა შეფასების, კრედიტების მინიჭების, რეიტინგისა და დამატებით/განმეორებით კურსებზე/კომპონენტებზე თანხის გადახდის განსაზღვრის წესთან* და *ევროპული კრედიტების ტრანსფერის სისტემასთან.*

სამაგისტრო პროგრამის შემუშავების ინიციატივა მომდინარეობდა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალიდან და ეფუძნებოდა მყარ არგუმენტებსა და შესაბამისი

მოკვლევის შედეგებს. ვიზიტის პროცესში ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა ცალკეული არგუმენტები საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების აუცილებლობის თაობაზე, კერძოდ,

- ➢ გერმანისტიკის დარგის სწავლების ორიენტირება გამოყენებით საფეროებზე და ამავდროულად კვლევების ორიენტირება კულტურათა დიალოგის ჭრილში, ამდენად, მაღალი ენობრივი კომპეტენციის მკვლევრების დაინტერესებისა და მოტივაციის ზრდა დარგის განვითარებაში ინტერდისციპლინარიზმის სეგმენტის შემოტანით;
- ➢ სამიზნე და ამოსავალ ქვეყნებს შორის საუკუნეების მანძილზე არსებული კულტურული თანამშრომლობისა და თანაცხოვრების შედეგად არსებული კულტურული მემკვიდრეობის შესწავლის აუცილებლობა;
- ➢ ინსტიტუციაში დამკვიდრებული ხანგრძლივი და გამოცდილი თანამშრომლობა გერმანულ აკადემიურ სივრცესთან, რამაც გააფართოვა არამარტო გერმანული, არამედ გერმანულენოვანი კვლევითი, აკადემიური, კვლევითი და საგრანტო ფონდებისა და ინსტიტუციების მხარდაჭერის შესაძლებლობები;
- ➢ სწავლებისა და კვლევის მაღალი კომპეტენციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი, რომელიც ჩართული იქნება სწავლა-სწავლებისა და კვლევის პროცესებში;
- ➢ უკანასკნელ წლებში ინსტიტუციის მიერ წარდგენილი და ქართული თუ უცხოური საგრანტო ფონდების მიერ დაფინანსებული კვლევითი პროექტები გერმანელი კოლეგების ჩართულობით;
- ➢ ახალი კვლევითი თემატიკის განსაზღვრა და ახალი თანამშრომლობის პერსპექტივები გერმანულ (იენა, ზიგენი, დიუსელდორფი) უნივერსიტეტებთან.

პროგრამის განმახორციელებელი პირები რეგულაციების ფარგლებში იყვნენ თანმიმდევრულები, ეტაპობრივად მისდევდნენ შესაბამის პროცედურებსა და იყენებდნენ ინსტიტუციის ფარგლებში მოქმედ მეთოდოლოგიას.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობაა 2 აკადემიური წელი (ოთხი სემესტრი), რომელთაგან მე-4 ეთმობა კვლევით კომპონენტს (სამაგისტრო ნაშრომის მომზადება). სწავლის პერიოდში სტუდენტი აგროვებს 120 კრედიტს საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურიდან, რომელიც შედგება 4 სავალდებულო და 1 არჩევითი ბლოკისაგან:

- სავალდებულო ბლოკი: კვლევის მეთოდები - არანაკლებ 18 კრედიტი;
- სავალდებულო ბლოკი: კულტურათშორისი და დარგობრივი კომუნიკაცია - არანაკლებ 18 კრედიტი;
- სავალდებულო ბლოკი: გერმანული პოლიტიკა და საზოგადოება - არანაკლებ 18 კრედიტი;
- სავალდებულო ბლოკი: გერმანული კულტურა - არანაკლებ 18 კრედიტი;
- არჩევითი ბლოკი: ევროპული კონტექსტი - არაუმეტეს 18 კრედიტი

პროგრამის შინაარსი, პროგრამის მიზნები და შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას - ***გერმანიისმცოდნეობის მაგისტრი***, რაც რეალისტური და მიღწევადია, ვინაიდან კულტურის კვლევების ფარგლებში მოქცეული ყველა თემატური ბლოკის ფარგლებში აქცენტირებულია გერმანიის როგორც ქვეყნისა და ევროპული სივრცის მნიშვნელოვანი შემადგენელი ერთეულის შესახებ ღრმა და სისტემური ცოდნის, სათანადო ტრანსფერული და კვლევითი უნარების შეძენა ისტორიულ და სოციულ-კულტურულ განასერში მაღალი ენობრივი კომპეტენციის საფუძველზე, რომლის გაღრმავება აქტიურად მიმდინარეობს როგორც სასწავლო, ისე კვლევით პროცესებში.

სავალდებულო ბლოკების შესწავლის საფუძველზე ექსპერტები გამოთქვამენ მოსაზრებებს ცალკეულ ბლოკებთან მიმართებით:

- საგანმანათლებლო პროგრამის პირველი ბლოკი ***კვლევის მეთოდები*** დაკომპლექტებულია კვლევის მეთოდების შემსწავლელი სასწავლო კურსებით. ამავე ბლოკში განთავსებულია სასწავლო კურსი ***აკადემიური*** წერა, რომლის ფარგლებში მაგისტრანტი ეუფლება საკვალიფიკაციო ნაშრომის ფორმალური ნაწილის ჩამოყალიბების ტექნიკებს. კვლევის ის მეთოდები, რაც სტუდენტის მიერ უნდა იქნას შერჩეული 18 კრედიტის ფარგლებში მისადაგებულია ყველა დანარჩენ იმ დარგობრივ ბლოკთან, რომლის ფარგლებში სტუდენტს შეუძლია შეირჩიოს საკვლევი თემა. ნიშანდობლივია აღინიშნოს, რომ კვლევის მეთოდთა შორის სახელდება სასწავლო კურსი ***კვლევის მეთოდები სოციალურ მეთოდებში***, რაც მართებულად იქნა მიჩნეული ექსპერტთა ჯგუფის მიერ, ვინაიდან საგანმანათლებლო პროგრამა განთავსებულია სოციალური მეცნიერებების ინტერდისცილინური კვლევების ნაწილში საკვალიფიკაციო ჩარჩოს მიხედვით. თუმცა ამავდროულად პროგრამის განმახორციელებელი პირები მაგისტრანტებს ასევე სთავაზობს კვლევის ინოვაციურ მეთოდებს ჰუმანიტარულ სფეროში,, როგორებიცაა ***სემინარი***

ციფრულ ჰუმანიტარიაში და - *ლიტერატურის კომპარატისტული კვლევის ძირითადი პრინციპები*. ინტერდისციპლინური კვლევის მეთოდოლოგიას მოიცავს ორი სასწავლო კურსი, სახელდობრ, *კულტურული ანთროპოლოგია: თეორია და კვლევა* და *კულტურის კვლევები*. ამდენად, მეთოდურ ბლოკზე განხორციელდება შემდგომში დარგობრივი წინარე ცოდნის დაშენება, რომელიც სასწავლო პროგრამის დამასრულებელი სემესტრში ჩაშენებული იქნება საკვალიფიკაციო ნაშრომში მაგისტრის დამოუკიდებელ კვლევის შედეგებთან ერთად. ამრიგად, მეთოდების ბლოკი ლოგიკურ ბმაშია ყველა შემდგომ დარგობრივ ბლოკთან და შესაბამისად, ყველა ტიპის კვლევის მეთოდებს ფარავს.

- საგანმანათლებლო პროგრამის მეორე ბლოკი შინაარსი ოთხ ძირითად სექტორად იშლება:
  - საკომუნიკაციო ენის კომპეტენციების მიმნიჭებელი;
  - დარგობრივი ტექსტების ლინგვისტური ანალიზი;
  - დარგობრივი ტექსტების თარგმანი;
  - ლიტერატურული ტექსტების თარგმანი.

  წინამდებარე სექტორების თეორიულ საფუძვლად შეთავაზებულია ორი თეორიული კურსი:
  - ➢ ინტერ- / ტრანსკულტურულობა და ინტერკულტურული კომპეტენცია, რომელიც შეძლება განხილულ იქნას როგორც ერთგვარი თეორიული საფუძველი საკომუნიკაციო ენის კურსებისა და ლიტერატურული თარგმანის პრაქტიკული სასწავლო კურსებისათვის;
  - ➢ დარგობრივი ტექსტის სახეობები, რომელიც გამიზნულია სექტორებისთვის დარგობრივი ტექსტის ლინგვისტური ანალიზი და დარგობრივი ტექსტების თარგმანი.

  საგანმანათლებლო პროგრამაში დაშვებული დათქმის თანახმად მაგისტრანტი ირჩევს 3 სასწავლო კურსს 18 კრედიტის ფარგლებში. სასწავლო კურსებს შორის შესაძლებელია ნებისმიერი კომბინაციის შერჩევა, რომლის თანახმადაც მაგისტრანტი:
  - იღრმავებს საკომუნიკაციო ენის კომპეტენციას;
  - იძენს დარგობრივი ტექსტის პროდუცირებისა და რეციპირების ტექნიკებს ლინგვისტური ანალიზის უნარების შეძენის საფუძველზე;
  - ეუფლება დარგობრივი ტექსტის თარგმნის ტექნიკებს დარგობრივი ტექსტის სახეობების თეორიული ცოდნის საფუძველზე;
  - იფართოებს მხატვრული ტექსტის თარგმნის ტექნიკებს სასწავლო კურსით *ინტერ- / ტრანსკულტურულობა და ინტერკულტურული კომპეტენცია* დაუფლების საფუძველზე.

  წინამდებარე ანალიზი წარმოაჩენს ლოგიკურ და გამართულ სტრუქტურულ ერთიანობას სასწავლო კომპონენტებს შორის.
- პროგრამის სავალდებულო ბლოკი მოიცავს პოლიტიკის და საერთაშორისო ურთიერთობების ცალკეულ კურსებს. მაგალითად „გერმანიის საგარეო პოლიტიკა“, „გერმანიის თანამედროვე პოლიტიკური სისტემა“, „გერმანიის ეკონომიკური პოლიტიკა“, „გერმანიის პოლიტიკური და სამართლებლივი სისტემა“, „გერმანია ევროპულ კონტექსტში“. პროგრამის მნიშვნელობიდან გამომდინარე და ზოგადად ქართულ-გერმანული ურთიერთობებიდან, რომელიც იყო ქართული დიპლომატიის ქვაკუთხედი მე-20 საუკუნის დასაწყისში, მიგვაჩნია, რომ *გერმანიის თანამედროვე პოლიტიკური სისტემა* ან *გერმანიის პოლიტიკურ სამართლებლივი სისტემა* გადავიდეს არჩევით ბლოკში, ხოლო არჩევით ბლოკში წარმოდგენილი სასწავლო კურსი *პირველი მსოფლიო ომი და საქართველო* გადავიდეს სავალდებულო ბლოკში.
- პროგრამის სავალდებულო ბლოკი („გერმანული კულტურა“), რომლიდანაც სტუდენტმა მინიმუმ 18 კრედიტი უნდა აირჩიოს, შეიცავს ხუთ სასწავლო კურსს, რომელთაც ექსპლიციტურად ფილოსოფიური შინაარსი აქვთ. ესენია: „ჰერდერის, ჰუმბოლტის, ვიტგენშტაინისა და ჰაიდეგერის კონცეფციები ენის შესახებ“, „კანტის *ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება*“, „ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერება“: ტექსტი და კონტექსტი“, „ფრიდრიხ ნიცშე და მორალის გენეალოგია“, „ვალტერ ბენიამინის *თეზისები ისტორიის ცნების შესახებ*“ (აღსანიშნავია, რომ შემოთავაზებული კურსები გერმანული ფილოსოფიის საკვანძო და საეტაპო მოაზროვნეებსა და საკითხებს ეხება). დანარჩენი ოთხი კურსი, დიდწილად, ლიტერატურასა და კინოხელოვნებას ეხება: „გერმანული რომანები და მათი ეკრანიზაციები“, „ინტერ-ტრანსკულტურულობა გერმანულ ლიტერატურაში“, „ლიტერატურის სოციოლოგია: პროდუქცია, დისტრიბუცია რეცეფცია“, „გარდატეხის რეპრეზენტაცია პოსტტოტალიტარულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებაში“. მოცემული ბლოკის გამრავალფეროვნებისთვის, ალბათ, სასურველი იქნებოდა მისი გამდიდრება სასწავლო

დისციპლინებით, რომლებიც გერმანული კულტურის სხვა სფეროებსაც (მუსიკა, არქიტექტურა, ფერწერა და სხვ.გამომდინარე იქიდან, რომ საქარტველოში დღემდე დასტურდება მოცემულ დარგებში კულტურული მემკვიდრეობის კონკრეტული არტეფაქტები, რომლებიც ასევე საჭიროებენ შესწავლას, როგორც არქივებში დაცული წყაროები და დოკუმენტური მასალები.) მოიცავენ.

- არჩევითი ბლოკის ფარგლებში სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, ჩაღრმავებულად შეისწავლოს კონკრეტული საკითხი, რასაც ადასტურებს სასწავლო კურსების შინაარსი არჩევით ბლოკში. არჩევითი ბლოკი მოიცავს ყველა იმ თემებს, რაც გადანაწილებულია ძირითადი ბლოკების ჯგუფში და თავისი შინაარსით აღრმავებს ცოდნას სათანადო ბლოკებთან (კულტურის კვლევები: პოლიტიკა, ისტორია, ეკონომიკა, ფილოსოფია, ლიტერატურა) მიმართებაში.

წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამა მაგისტრანტს აძლევს შესაძლებლობას, დამოუკიდებლად განსაზღვროს და დაგეგმოს საკუთარი სწავლისა და კვლევის პროცესი, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე არჩევანი გააკეთოს კონკრეტულ სასწავლო ბლოკზე და მიზანმიმართულად შეარჩიოს არჩევითი სასწავლო კურსები, რომელიც გააღრმავებდა მის დარგობრივ ცოდნას კონკრეტულ სეგმენტში და მოამზადებდა მას საკვალიფიკაციო ნაშრომზე სამუშაოდ. სტუდენტს არჩევანს გაუმარტივებს სტრუქტურის შემადგენელი ბლოკების ლოგიკური და გამართული კოჰერენტულობა, რაც საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში ნათლად ჩანს.

საგანმანათლებლო პროგრამაზე სწავლის პირველი და მეორე სემესტრი ეძღვნება სავალდებულო სასწავლო კურსების გაცნობასა და კვლევის მეთოდების დაგროვებას, მესამე სემესტრში მაგისტრანტი დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული არჩევითი სასწავლო კურსების შესწავლით ცოდნა გაიღრმავოს მისი მომავალი კვლევითი ნაშრომის თემატიკის ფარგლებში, თუმცა გამომდინარე ასევე სტუდენტის კვლევითი პროექტის თემატიკიდან, მას ასევე შეუძლია ინტერდისციპლინური კვლევის თემატური სპექტრის გაფართოების მიზნით, დამატებით აირჩიოს სასწავლო კურსები ერთ-ერთი ან რამდენიმე სავალდებულო ბლოკიდან. მე-4 სემესტრი სრულად ეთმობა კვლევითი ნაშრომის მომზადებას, მის წარდგენასა და საჯარო დაცვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკა გულისხმობს:

- ამოსავალი უცხოური ენის ფლობას საერთო ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს სკალირების შესაბამის B^2 დონეზე, ვინაიდან როგორც სწავლების, ისე კვლევის პროცესი ითვალისწინებს: ა) მუშაობას გერმანულენოვან კრიტიკულ ლიტერატურასა და წყაროებზე; ბ) აკადემიური კომუნიკაციას გერმანელ აკადემიურ პერსონალთან; გ) სასწავლო ან კვლევითი პროცესის ინტერნაციონალიზაციას (სწავლებას ან კვლევას პარტნიორ უნივერსიტეტებში, მონაწილეობას სამეცნიერო ფორუმებსა და სამუშაო შეხვედრებში, ისევე როგორც ზაფხულისა და ზამთრის სკოლებში);
- მისანიჭებელი კვალიფიკაციიდან გამომდინარე ფართო, ენციკლოპედიურ წინარე ცოდნას ჰუმანიტარულ ან სოციალურ და ქცევით მეცნიერებებში (ნებისმიერი, მინიმუმ ერთი მიმართულებით მაინც), რისი შევსებაცა და გაფართოებაც განხორციელდება სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში.

სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა ითვალისწინებს საკვალიფიკაციო ნაშრომის შესრულებას, რომლის მიზანი, სწავლის შედეგები, შესრულების პროცესი, შეფასების წესი და ასევე ის რესურსები, რასაც სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი სთვაზობს სტუდენტებს ნაშრომის მაღალკვალიფიციურად შესრულების უზრუნველსაყოფად, განსაზღვრულია სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციით. დოკუმენტი დეტალურად აღწერს სამაგისტრო ნაშრომისათვის საკვლევი თემის შერჩევის, მასზე მუშაობის, ნაშრომის წარდგენისა და შეფასების პროცედურას, თუმცა იგივე დოკუმენტით არ არის განსაზღვრული საკვალიფიკაციო ნაშრომის მომზადებაზე დაშვების წინაპირობა. კურსების კატალოგში და სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში მითითებულია მხოლოდ ნაშრომის შესრულების დრო - მე-4 სემესტრი, სხვა დამატებითი წინაპირობა, როგორიცაა მაგალითად, სავალდებულო სასწავლო კურსების ბლოკიდან კონკრეტული კრედიტების/სასწავლო კურსების ათვისება, არ არის განსაზღვრული. საკვალიფიკაციო ნაშრომის სპეციფიკის გათვალისწინებით, აუცილებელია, სტუდენტი ფლობდეს კვლევის სფეროს შესაბამის წინარე დარგობრივ ცოდნას, ასევე იცნობდეს კვლევის ტექნიკებს და მეთოდებს, ფლობდეს კვლევის საბაზისო უნარ-ჩვევებს, რისი გამომუშავებაც ხდება სხვადასხვა სასწავლო კურსების ფარგლებში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, რეკომენდებულია დამატებით განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე დაშვების წინაპირობა.

საგანმანათლებლო პროგრამა, ისევე როგორც მასზე დაშვების პირობები ექსპერტული შეფასებისა და უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების ძალაში შესვლის შემდგომ ხელმისაწვდომი იქნება დაინტერესებულ პირთათვის და განთავსდება დაწესებულების ვებ-გვერდზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა და სტრუქტურა;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების დამადასტურებელი დოკუმენტები (სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები)
- ინტერვიუები საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია საგანი პირველი მსოფლიო ომი და საქართველო არჩევითი ბლოკიდან გადავიდეს სავალადებულო საგანთა ბლოკში;

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია გაფართოვდეს პროგრამის სავალდებულო ბლოკი („გერმანული კულტურა“) ისეთი სასწავლო დისციპლინებით, რომლებიც გერმანული კულტურის სხვა სფეროებსაც (მუსიკა, არქიტექტურა, ფერწერა და სხვ.) მოიცავენ;
- სასურველი დამატებით განისაზღვროს სამაგისტრო ნაშრომის შესრულებაზე დაშვების წინაპირობა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	☐	☑	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლის შედეგები შესწავლილ იქნა დარგის ექსპერტების მიერ ბლოკების მიხედვით და შედარებული საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგებთან. შედარების მატრიცა მომზადდა ვიზუალურადაც პროგრამის კომპეტენციათა რუკის სახით. დანართებისა და სასწავლო კურსების შედარების საფუძველზე დადგინდა სასწავლო კურსების სწავლის შედეგების კავშირი პროგრამის სწავლის მინიმუმ ერთ შედეგთან. სასწავლო კურსებში შედეგების ჩამოყალიბება მოხდა სასწავლო კურსების ძირითადი თემატიკის ამოსავალი საკითხების გააზრების საფუძველზე.

სასწავლო კურსებზე კრედიტმოცულობის განაწილება განსაზღვრულია სასწავლო კურსის ფარგლებში გაწერილი სხვადასხვა ტიპის აქტივობის მოცულობიდან გამომდინარე, ისევე როგორც საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის განსაზღვრული თანაფარდობის მიხედვითა და საგნის სპეციფიკიდან და სწავლების ფორმატიდან გამომდინარე.

ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ კურსების განახლების პროცესში დიდი ყურადღება ეთმობოდა შეასაბამისი სავალდებულო ლიტერატურის ხელმისაწვდომობას, განსაკუთრებით ქართულ ენაზე. თუმცა დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, შეუძლებელია მწირ ქართულენოვან ლიტერატურაზე

დაყრდნობით დარგის კვალიფიციური სპეციალისტების მომზადება. ამიტომ, სამაგისტრო პროგრამის მიღების წინაპირობად განისაზღვრა გერმანული ენის B2 დონე და სავალდებულო საგნად დაემატა გერმანული ენა.

დეტალურად იქნა შესწავლილი სამაგისტრო საგანამანთლებლო პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები ბლოკიდან: *კულტურათაშორისი და დარგობრივი კომუნიკაცია*, რომლის ფარგლებშიც პროგრამა სტუდენტს სთავაზობს გერმანული ენის პრაქტიკულ კურსს (C1.1, C1.2, C1.3), თითოეულს 6 კრედიტის მოცულობით. აღნიშნული სასწავლო კურსის დარგობრივი სწავლის შედეგები დეტალურადაა განსაზღვრული 4 კომპეტენციის (მოსმენა, ლაპარაკი, კითხვა, წერა) შესაბამისად, მაგრამ ამავე სილაბუსით შეფასების ძირითად მეთოდებად მითითებულია აქტიურობა, საშინაო დავალება და ტესტი. აქტიურობისა და მასალის ათვისების რუბრიკები, მაგალითად გერმანული ენის პრაქტიკულ კურსში C1.2 ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: 20-15 % - ,,სტუდენტი ყოველთვის მომზადებულია ლექციისთვის, წაკითხული აქვს მასალა, შესრულებული აქვს ყველა დავალება, მუდმივად ადექვატურად პასუხობს შეკითხვებს და აქტიურადაა ჩართული დისკუსიაში", საშინაო დავალების შეფასების რუბრიკების თანახმად, მაგალითად უმაღლესი შეფასების - 18-20 ქულის მიღება შესაძლებელია იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი ,ყოველთვის მომზადებული იყო სემინარისთვის: წაკითხული ჰქონდა მასალა და სწორად ჰქონდა დაწერილი დავალებები". რაც შეეხება შუალედურ და დასკვნით გამოცდებს, საგამოცდო ტესტი მოიცავს 100 ერთქულიან საკითხს. ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ზემოთ ჩამოთვლილი შეფასების ფორმები და რუბრიკები სრულად ვერ უზრუნველყოფს სილაბუსით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვას. შუალედური შეფასების რუბრიკები, როგორც ზემოთ მოყვანილი მაგალითები ცხადყოფს, უპირატესად განკუთვნილია სალექციო და სასემინარო ფორმატის საკონტაქტო შეხვედრებისთვის, ამასთანავე საგამოცდო წერითი ტესტები ერთქულიანი საკითხებით ნაკლებად რელევანტურია ისეთი შედეგების მიღწევადობის გასაზომად, როგორიცაა მაგალითად - ,სატელევიზიო და რადიოგადაცემებში კომპლექსური არგუმენტის გაგება', თხზულებებში და მოხსენებებში რაიმე მოსაზრების დასაცავად ან საწინააღმდეგოდ არგუმენტების/კონტრარგუმენტების მოყვანა' და სხვა. გარდა ამისა, ტექნიკურად ნაკლებად მოსახერხებელია 100 ქულიანი ტესტის 30 ქულად გადაანგარიშება (შუალედური და საბოლოო შეფასების წილი 30-30 ქულაა). აღნიშნულიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია დაზუსტდეს შეფასების ფორმები და რუბრიკები გერმანული ენის პრაქტიკული კურსების C1.1, C1.2 და C1.3 სილაბუსებში, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვა.

დასაზუსტებელი და შესასწორებელია სასწავლო კურსების სწავლის შედეგები, მიზნები და სასწავლო კურსის სათაური სასწავლო კურსებში: *ეკონომიკური დოკუმენტების ლინგვისტური ანალიზი, პოლიტიკური დოკუმენტების ლინგვისტური ანალიზი, იურიდიული და სოციალური დოკუმენტების ლინგვისტური ანალიზი.* კერძოდ, სასწავლო კურსის კვირეულად გაწერილ თემებში არ არის მოცემული, თუ რა ტიპის ლინგვისტურ ანალიზს გულისხმობს კურსის ავტორი, ამას გარდა, ეკონომიკური და იურიდიული დარგობრივი ტექსტების სილაბუსების მიზნებში მსჯელობაა დარგობრივი ტექსტების თარგმანზე, თუმცა სასწავლო კურსის სილაბუსის სათაურში მოცემულია ლინგვისტური ანალიზის და არა თარგმანის საკითხი. თუ წინამდებარე სასწავლო კურსები თარგმანსაც ითვალისწინებს, მაშინ რამდენად გამართლებულია ბლოკში ასევე შემდეგი ორი სასწავლო კურსის არსებობა, კერძოდ, „გერმანულ-ქართული დარგობრივი თარგმანი 1" და „გერმანულ-ქართული დარგობრივი თარგმანი 2". ორივე კურსი სრულიად თეორიული კურსია, რომლის სასემინარო ნაწილში არ ჩანს, თუ როგორ ხდება მიზანში გაწერილი ჩანაწერის, - „სტუდენტები შეისწავლიან, თუ როგორ უნდა მოხდეს შემენილი თეორიული ცოდნის ტრანსფორმირება პრაქტიკაში", - განხორციელება.

ასევე დასაკორექტირებელია სასწავლო კურსების „გერმანულ-ქართული ლიტერატურული თარგმანი I" და „გერმანულ-ქართული ლიტერატურული თარგმანი II" მიზნები და სწავლის შედეგები. სასწავლო მასალის მიხედვით, წინამდებარე სასწავლო კურსები სრულიად პრაქტიკული კურსებია, რომელიც სტუდენტს გამოუმუშავებს მხატვრული ლიტერატურის თარგმნის ტექნიკებს, ხოლო სასწავლო კურსებს ძირითად ლიტერატურაში საერთოდ არ უფიქსირდება თეორიული საკითხების შემსწავლელი სასწავლო მასალა (თუმცა შეფასების ნაწილში ავტორი აწესებს ქულათა გრადაციას, საკითხი სრულყოფილად ჩამოყალიბებაში, სპეციალური ტერმინოლოგიის გამოყენებაში და ა. შ.), რომელიც სტუდენტებს შესძენდა თარგმანის თეორიების ცოდნას. წინამდებარე სასწავლო კურსების მიზნები და შედეგები აბსოლუტურად იდენტურია, რაც ასევე უნდა ჩამოყალიბდეს სასწავლო კურსის კონკრეტული მოთხოვნების შესაბამისად. წინამდებარე კორექტურის გარეშე პროგრამის ფარგლებში გაწერილი სწავლის შედეგები ნაწილობრივ მიღწევადი იქნება.

სასწავლო კურსის ,,დიალოგურობიდან ინტერმედიალობამდე: ლიტერატურის კომპარატისტული კვლევის ძირითადი პრინციპები" სწავლის ერთ-ერთი მიზანია: ,,მისცეს მომავალ ლიტერატურათმცოდნეებს სიღმისეული ცოდნა ლიტერატურის შედარებითი კვლევის ძირითადი პრონციპებისა და კატეგორიების შესახებ". ასევე სასწავლო კურსის ,,ლიტერატურის სოციოლოგია: პროდუქცია, დისტრიბუცია, რეცეფცია" ერთ-ერთ მიზნად განსაზღვრულია: ,,მისცეს მომავალ ლიტერატურათმცოდნეებს სიღმისეული ცოდნა ლიტერატურის შედარებითი კვლევის ძირითადი პრონციპებისა და კატეგორიების შესახებ". ვინაიდან წინამდებარე სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ამზადებს ‚კონკურენტუნარიან სპეციალისტებს გერმანიის კვლევების დარგში' და არა კონკრეტულად ლიტერატურათმცოდნეებს, ვფიქრობთ, სასურველია, დაზუსტდეს სასწავლო კურსების ,,დიალოგურობიდან ინტერმედიალობამდე: ლიტერატურის კომპარატისტული კვლევის ძირითადი პრინციპები" და ,,ლიტერატურის სოციოლოგია: პროდუქცია, დისტრიბუცია, რეცეფცია" სწავლის მიზნის ზემოაღნიშნული ასპექტი და მოვიდეს სრულ თანხვედრაში პროგრამის მიზნებთან. ამავდროულად აღსანიშნავია, რომ ის დარგობრივი და ზოგადი კომპოტენციები, რომელთაც შეიძენენ კურსდამთავრებულები მითითებული სასწავლო კურსების გავლის შემდეგ, სრულ თანხვედრაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან.

გარდა ამისა, სასწავლო კურსის სილაბუსში ,,დიალოგურობიდან ინტერმედიალობამდე: ლიტერატურის კომპარატისტული კვლევის ძირითადი პრინციპები", ძირითად სასწავლო რესურსად მითითებულია ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა. იმის გათვალისწინებით, რომ სამაგისტრო საბაკალავრო პროგრამაზე დაშვების წინაპირობად განსაზღვრულია გერმანული ენის B2 დონე, მიზანშეწონილად მიგვაჩნია სასწავლო კურსს ,,დიალოგურობიდან ინტერმედიალობამდე: ლიტერატურის კომპარატისტული კვლევის ძირითადი პრინციპები" დაშვების წინაპირობად მიეთითოს ინგლისური ენის ფლობა, ან ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა განისაზღვროს როგორც დამატებითი სასწავლო რესურსი.

სასწავლო კურსის სილაბუსში ,,გარდატეხის რეპრეზენტაცია პოსტტოტალიტარულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებაში" სწავლების საფეხურად მითითებულია საბაკალავრო საფეხური, თუმცა სასწავლო კურსის მიზანი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: ,,მოცემული კურსის ფარგლებში სტუდენტები სიღრმისეულად შეისწავლიან გარდატეხის პერიოდის, კერძოდ მე-20 სუკუნის 90-იანი წლების ქართველი, გერმანელი და რუსი მწერლების შემოქმედების ძირითად ტენდენციებს…", ამავდროულად სილაბუსით გაწერილი შინაარსი და სწავლის შედეგები სრულ თანხვედრაშია კურსის მიზანთან. აღნიშნულიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი მიიჩნევს, რომ სილაბუსში ,,გარდატეხის რეპრეზენტაცია პოსტტოტალიტარულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებაში" მითითებული საბაკალავრო საფეხური ტექნიკური უზუსტობაა და სასურველია მისი კორექტირება.

ამასთანავე, აღნიშნულ სილაბუსში მითითებულია მხოლოდ დამატებითი და სასემინარო ლიტერატურა. სასწავლო რესურსში უკეთ ორიენტირების მიზანით, ვფიქრობთ სასურველია სილაბუსში ,,გარდატეხის რეპრეზენტაცია პოსტტოტალიტარულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებაში" განისაზღვროს ძირითადი ლიტერატურა.

პროგრამის სავალდებულო ბლოკი („გერმანული კულტურა") შეიცავს ფილოსოფიური შინაარსის სასწავლო კურსებს: „ჰერდერის, ჰუმბოლტის, ვიტგენშტაინისა და ჰაიდეგერის კონცეფციები ენის შესახებ", „კანტის *ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება*", „ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერება": ტექსტი და კონტექსტი", „ფრიდრიხ ნიცშე გარდატეხის რეპრეზენტაცია პოსტტოტალიტარულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებაშიდა მორალის გენეალოგია", „ვალტერ ბენიამინის *თეზისები ისტორიის ცნების შესახებ*". აღნიშნული კურსების სწავლების შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, ხოლო მათი შინაარსი შესაბამისობაშია კურსებში გაწერილ სასწავლო შედეგებთან, გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა შესაბამისობაშია კურსების შინაარსსა და სწავლის შედეგებთან; საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია, ხოლო საკონტაქტო საათების რაოდენობა შესაბამისობაშია ამ კურსების შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შესაბამისობაშია სასწავლო კურსების სწავლის შედეგებთან და სფეროში არსებულ მიღწევებთან, ითვალისწინებს საგნის სპეციფიკას და უზრუნველყოფს პროგრამით გაწერილი სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, პროგრამის სპეციფიკიდან და სწავლების საფეხურიდან გამომდინარე, სასურველი იქნებოდა, თუკი სასწავლო კურსებში „კანტის ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება", „ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერება": ტექსტი და კონტექსტი", „ფრიდრიხ ნიცშე და მორალის გენეალოგია", „ვალტერ ბენიამინის თეზისები ისტორიის ცნების შესახებ" ძირითადი ლიტერატურის დიდი ნაწილი სტუდენტებს გერმანულ ენაზე

მიეწოდებათ. ეს ხელს შეუწყობს სტუდენტების ენობრივი კომპეტენციების დახვეწას და მათ პროფესიულ განვითარებას.

რაც შეეხება საგანმანათლებლო პროგრამის არჩევით ბლოკს **ევროპული კონტექსტი**, ერთ-ერთი სასწავლო კურსის სილაბუსი ეხება ევროკავშირის ქვეყნების საგარეო პოლიტიკას, ევროპულ კონტექსტში არ ჩანს ნატო-ს ფუნქციები და მნიშვნელობა. ექსპერტთა ჯგუფმა გამოთქვა მოსაზრება, რომ არჩევით ბლოკს უნდა დაემატოს სილაბუსი გერმანია ნატო-ს ურთიერთობებსა და ნატო-ს საგარეო პოლტიკაზე, ვინაიდან არჩევით კონცენტრაციაში არ ჩანს კონკრეტულად გერმანიის როლი ამ კონტექსტში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- გადაიხედოს სავალდებულო ბლოკის *კულტურათაშორისი და დარგობრივი კომუნიკაცია* ცალკეული სასწავლო კურსების სილაბუსები და დაზუსტდეს სასწავლო კურსის მიზნები და შედეგები სასწავლო კურსის შინაარსიდან გამომდინარე;
- მიზანშეწონილია დაზუსტდეს შეფასების ფორმები და რუბრიკები გერმანული ენის პრაქტიკული კურსების C1.1, C1.2 და C1.3 სილაბუსებში, რათა სრულად იქნას უზრუნველყოფილი სასწავლო კურსებით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევადობის გაზომვა;
- დაემატოს არჩევით ბლოკს სასწავლო კურსი, რომელიც განიხილავს გერმანიისა და ნატოს-ს ურთიერთობებს, ნატოს საგარეო პოლიტიკის ასპექტებს;
- მიზანშეწონილია სასწავლო კურსს ,,დიალოგურობიდან ინტერმედიალობამდე: ლიტერატურის კომპარატისტული კვლევის ძირითადი პრინციპები" დაშვების წინაპირობად მიეთითოს ინგლისური ენის ფლობა, ან ინგლისურენოვანი სამეცნიერო ლიტერატურა განისაზღვროს როგორც დამატებითი სასწავლო რესურსი.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველი იქნებოდა, თუკი სასწავლო კურსებში „კანტის ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება", „ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერება": ტექსტი და კონტექსტი", „ფრიდრიხ ნიცშე და მორალის გენეალოგია" და „ვალტერ ბენიამინის თეზისები ცნების შესახებ" ძირითადი ლიტერატურის დიდი ნაწილი გერმანულენოვანი წყაროები იქნება;
- სასურველია დაზუსტდეს სასწავლო კურსების ,,დიალოგურობიდან ინტერმედიალობამდე: ლიტერატურის კომპარატისტული კვლევის ძირითადი პრინციპები" და ,,ლიტერატურის სოციოლოგია: პროდუქცია, დისტრიბუცია, რეცეფცია" სწავლის მიზანი - ,,მისცეს მომავალ ლიტერატურათმცოდნეებს სიღმისეული ცოდნა ლიტერატურის შედარებითი კვლევის ძირითადი პრონციპებისა და კატეგორიების შესახებ" და მოვიდეს სრულ თანხვედრაში პროგრამის მიზნებთან;
- სასურველია დაკორექტირდეს სილაბუსში ,,გარდატეხის რეპრეზენტაცია პოსტტოტალიტარულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებაში" არსებული ტექნიკური უზუსტობა და სწავლების საფეხურად მითითებულ იქნას სამაგისტრო საფეხური;
- სასურველია სილაბუსში ,,გარდატეხის რეპრეზენტაცია პოსტტოტალიტარულ ლიტერატურასა და კინოხელოვნებაში" განისაზღვროს ძირითადი ლიტერატურა.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	☐	☑	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პროგრამის მიღების დოკუმენტის თანახმად, პროგრამის მიღების წინაპირობას (საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარების შემდეგ) წარმოადგენს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა, რომელიც ორი კომპონენტისგან შედგება: 1. ტესტი / წერილობითი გამოცდა გერმანულ ენაში (საერთო შეფასების 50%); 2. ზეპირი გამოცდა/გასაუბრება (გერმანულ ენაზე), (საერთო შეფასების 50%).

ტესტის/წერილობითი გამოცდისას, რომელიც ზეპირ გამოცდამდე ტარდება, კანდიდატმა უნდა დაადასტუროს გერმანული ენის ფლობა მინიმუმ B2 დონეზე (მინიმალური ზღვარი: 50 ქულა). კანდიდატი გათავისუფლდება ტესტისგან იმ შემთხვევაში, თუკი იგი წარმოადგენს გერმანული ენის მინიმუმ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელ ვალიდურ საერთაშორისო სერტიფიკატს (TestDaf, CMP, COP, KDS, DSH, GDS). იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატმა ვერ გადალახა ტესტზე დაწესებული მინიმალური ზღვარი ან ვერ წარმოადგინა საერთაშორისო სერტიფიკატი, იგი არ დაიშვება ზეპირ გამოცდაზე/გასაუბრებაზე.

ზეპირი გამოცდა/გასაუბრება ფასდება ოთხი კომპონენტით:

- დარგობრივი ცოდნა არჩეული სფეროს შესახებ ინფორმაცია(10 ქულა);
- მოტივაცია და სამომავლო ხედვა (20 ქულა);
- მიღწევები და გამოცდილება (პროფესიული, აკადემიური და სხვა) (10 ქულა)
- კომუნიკაციის და ლოგიკური მსჯელობის უნარი (10 ქულა).

„კომუნიკაციის და ლოგიკური მსჯელობის უნარის“ განყოფილებაში ერთ-ერთ ქვეკომპონენტად მითითებულია „ქართულ და *ინგლისურ* ენებზე გამართული კომუნიკაციის უნარი“ (იხ. მიღების დოკუმენტი, გვ. 2), რაც, სავარაუდოდ, ტექნიკურ უზუსტობას წარმოადგენს, რადგან დოკუმენტში ზემოთ მითითებულია, რომ ზეპირი გამოცდა/გასაუბრება გერმანულ ენაზე ტარდება. გაუგებრობების აღმოფხვრისთვის რეკომენდებულია აღნიშნული ჩანაწერის შეცვლა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- პროგრამაზე მიღების დოკუმენტი.

რეკომენდაციები:

-

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- *სასურველია შესწორდეს ტექნიკური ხარვეზი პროგრამის მიღების დოკუმენტში, კერძოდ, ზეპირი გამოცდის/გასაუბრების „კომუნიკაციის და ლოგიკური მსჯელობის უნარის“ კომპონენტის პირველ ქვეკომპონენტში.*

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	☑	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის შინაარსი და კომპონენტები, რომელიც წარმოდგენილია 3 ძირითადი თემატური ბლოკისა და კვლევის მეთოდების სავალდებულო მეოთხე ბლოკით, უზრუნველყოფენ სწავლის შედეგების შესაბამისად სტუდენტთა პრაქტიკული და კვლევითი უნარების განვითარებას. მოცემული უნარების განვითარებას ხელს უწყობს ასევე საგანმანათლებლო პროგრამაში ჩართული გამოცდილი და მაღალკვალიფიციური აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ისევე როგორც ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბაზაზე არსებული ცენტრები და კვლევითი ინსტიტუტები საკუთარი მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, პარტნიორი ორგანიზაციები, შესაბამისი თანამშრომლობის მემორანდუმებით და პარტნიორი უცხოური უნივერსიტეტები კონკრეტული კვლევითი პროექტების ფარგლებში.

გარდა საგანმანათლებლო პროგრამაში გაწერილი ცალკეული განმავითარებელი კომპონენტებისა, სტუდენტებს საშუალება აქვთ, ჩაერთონ არაერთ საუნივერსიტეტო ექსტრაკურიკულურ აქტივობაში კვლევითი და პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით.

ექსტრაკურიკულურ ღონისძიებებში აქტიურად არიან ჩართული კონკრეტული დაწესებულებები და ორგანიზაციები, რომელთან ერთად დაწესებულება გეგმავს და ახორციელებს საგანმანათლებლო აქტივობების პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს. სტუდენტები ასევე სარგებლობენ გარე აქტორთა როგორც ინტელექტუალური, ასევე ტექნიკური რესურსებით. ამ დაწესებულებათა შორის წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის მიზანმიმართულ მხარდაჭერას ახორციელებენ:

- შპს. „ონ.ჯი“
- სს. „არვატო CRM საქართველო“
- შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი
- საქართველოში გოეთეს ინსტიტუტის ფილიალი
- ააიპ საბჭოთა წარსულის კვლევის ლაბორატორია
- ა(ა)იპ „კონრად ადენაუერის ფონდის წარმომადგენლობა სამხრეთ კავკასიაში“
- პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრამის ფარგლებში კვლევითი უნარების განვითარებას ემსახურება ისეთი საუნივერსიტეტო აქტივობები, როგორებიცაა ყოველწლიური სტუდენტური კონფერენცია, გაცვლითი პროგრამები და უნივერსიტეტში არსებული კლუბები: „ლიტერატურული კლუბი“ და „წიგნის კითხვის კლუბი“. აქტივობაში ერთვება ასევე წიგნის სახლი „ლიგამუსი“, სადაც ხშირია შეხვედრები ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორებთან, მოწვეულ პირებთან, მწერლებთან და მთარგმნელებთან. კლუბური და შემოქმედებითი შეხვედრების ადგილი ხშირადა უნივერსიტეტის ავსტრიული ბიბლიოთეკის სივრცე, რომლის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებში ჩართული არიან უნივერსიტეტის გერმანულენოვანი სტუდენტები.

საგანმანათლებლო პროგრამა გეგმავს, ასევე, ექსტრაკურიკულური აქტივობის სახით პრაქტიკას გერმანულენოვან ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში სწავლების მეორე წელს, როდესაც სტუდენტებს დაუგროვდებათ მაღალი ენობრივი კომპეტენციები და დარგობრივი ცოდნა, ამას გარდა ექნებათ კონკრეტული ორიენტირებული თემატიკა კვლევითი ნაშრომისათვის. პრაქტიკის პროცესში განხორციელების სურვილი გამოთქვეს საკუთრივ გერმანულენოვანი დაწესებულებების წარმომადგენლებმა, რაც ასევე დადასტურდა დამსაქმებლებთან და პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენელებთან ინტერვიუირების დროს.

სასწავლო პროცესში აქტიური ჩართვის სურვილი გამოთქვა ასევე სამხრეთ კავკასიაში გერმანული კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კავშირმა (Verein zur Bewahrung deutschen Kulturguts im Südkaukasus), რომლის წარმომადგენელი ასევე ჩართულია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში როგორც აკადემიური პერსონალი. წინამდებარე დაწესებულებასთან კოოპერაციის ფარგლებში უკვე დაგეგმილია სტუდენტთა ჩართულობა კვლევით პროცესებში, კერძოდ, 2021-2023 წლის ფარგლებში დაგეგმილი პროექტის ფარგლებში: „გერმანელების გლობალური კავშირები საქართველოში (1817-1941)". საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი და წერითი კომპონენტების გავლის შემდგომ სტუდენტების კვლევითი კომპეტენციების დადასტურება მოხდება საკვალიფიკაციო ნაშრომის ფარგლებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სმაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამაგისტრო ნაშრომის კონცეფცია;
- პრაქტიკის კონცეფცია;
- პარტნიორ დაწესებულებებსა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის ხელშეკრულებები;
- წერილი პროექტის დაფინანსების შესახებ: „გერმანელების გლობალური კავშირები საქართველოში (1817-1941)"
- წიგნის კითხვის კლუბი: https://www.facebook.com/groups/1540977502861070/?ref=share;
- ლიტერატურული კლუბი: https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/projects/literaturuli-klubi;
- ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.2 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი /შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	☑	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამა ქართველ და გერმანელ მკვლევართა ერთგვარი კოლაბორციული პროექტია, რომლებიც ინტერდისციპლინური კვლევებით წლების მანძილზე ინსტიტუციის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამებში ახორციელებენ სწავლებისა და კვლევის პროცესს. შესაბამისად მათ მიერ სასწავლო პროცესში გამოყენებულია სწავლა-სწავლების მრავალფეროვანი მეთოდი, რომელთა შერჩევა ხდება ინდივიდუალურად, სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე, ესადაგება სწავლების შესაბამის საფეხურს, კურსის შინაარსსა და ორიეტირებულია სწავლის შედეგების მიღწევაზე.

სწავლა-სწავლების მეთოდთა უმრავლესობა შერჩეულია იმ პრინციპით, რომ შედეგად მიღწეულ იქნას სწავლების პროცესში სტუდენტთა აქტიური ჩართულობა, რაც მას გამოუმუშავებს ავტონომიურობას, კრიტიკული და არგუმენტაციული მსჯელობისა და სიღრმისეული ანალიზის უნარს.
ცალკეული სილაბუსების ანალიზმა აჩვენა, რომ მეთოდთა ჯგუფი სასწავლო კურსების ავტორებს გაწერილი აქვთ სასწავლო პროცესსა და სასწავლო კურსის სპეციფიკაზე ორიენტირებით, ამასთან საგანმანათლებლო პროგრამას ასევე ნახელმძღვანელები აქვს ენის დაუფლების დარგობრივი სტანდარტში გაწერილი მეთოდთა რეგისტრით, გამომდინარე იქიდან, რომ სავალდებულო ბლოკებიდან ერთ-ერთი ავითარებს დარგობრივი კომუნიკაციის უნარ-ჩვევებს სამიზნე ენის სასწავლო კურსების როგორც საკომუნიკაციო, ისე დარგობრივ ასპექტში. სწავლების მეთოდური ასპექტები ფოკუსირებულია ინტერაქციულ სწავლებაზე, ასევე ითვალისწინებს იმ მეთოდებს, რომელიც გულისხმობს კეთებით სწავლებას.
საგანმანათლებლო პროგრამის მეთოდების რუბრიკაში იკითხება მეთოდთან ჯგუფი: ლექცია და სემინარი; პრაქტიკული მეთოდი; დემონსტრირების მეთოდი; დისკუსია/დებატები; გონებრივი იერიში; ანალიზი და სინთეზი; შემთხვევის ანალიზი; თანამშრომლობითი სწავლა / გუნდური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; პროექტზე დაფუძნებული სწავლება; ელექტრონული და შერეული სწავლა; აქტიური სწავლა; შეტრიალებული გაკვეთილი; სუპერვიზია; რეფლექსია. წინამდებარე მოთოდთა ჩამონათვლის ვარირებული ვერსიებია წარმოდგენილი ბლოკების მიხედვითად, კერძოდ, სავალდებულო ბლოკში „გერმანული კულტურა“ შემავალ ფილოსოფიურ სასწავლო კურსებში („ჰერდერის, ჰუმბოლტის, ვიტგენშტაინისა და ჰაიდეგერის კონცეფციები ენის შესახებ“, „კანტის ზნეობის მეტაფიზიკის დაფუძნება“, „ჰეგელის „ლოგიკის მეცნიერება“: ტექსტი და კონტექსტი“, „ფრიდრიხ ნიცშე და მორალის გენეალოგია“, „ვალტერ ბენიამინის თეზისები ისტორიის ცნების შესახებ“) გამოყენებულია შემდეგი სწავლების მეთოდები: ლექცია-სემინარი, დემონსტრირების მეთოდი, ანალიზი და სინთეზი, ელექტრონული სწავლების მეთოდი/ელემენტები, დისკუსია/დებატები, გონებრივი იერიში, ჯგუფური მუშაობა, როლური და სიტუაციური თამაშები. აღნიშნული სწავლის მეთოდები შესაბამისობაშია საგანმანათლებლო სწავლის საფეხურთან, სასწავლო კურსის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან და უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. მეთოდთა ჩამონათვალი ვარირებს ცალკეული დარგობრივი ბლოკების მიხედვით. დაწესებულება ასევე ითვალისწინებს იმ სტუდენტთა მოთხოვნებს სწავლისა და სწავლების მეთოდების შერჩევისას, რომლთაც აქვს განსხვავებული მოთხოვნები, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებები. მათთვის დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები და ამავდროულად გეგმის შედგენისას ცალკეული სასწავლო კურსი აწესრიგებს სწავლა-სწავლებისა თუ შეფასების სათანადო ფორმებს, ინიშნება ინდივიდუალური საკონსულტაციო შეხვედრები სასწავლო კურსის წამყვან აკადემიურ პერსონალთან, რომელიც ასევე განსაზღვრავს სწავლების მეთოდებს. მსგავსი საჭიროების შემტხვევაში ერთვება უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტიც („ბავშვის განვითარების ინსტიტუტი“).

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები	☑	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანიის კვლევების - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება“ სამაგისტრო პროგრამის სტუდენტთა შეფასება შეესაბამება როგორც შიდა ისე გარე რეგულაციებს. პროგრამის ფარგლებში სტუდენტთა შეფასებისთვის გამოიყენება ისეთი მეთოდები, რომლებიც შესაბამისია კურსის სპეციფიკასთან. თითოეული სასწავლო კურსის შეფასების სისტემა მრავალკომპონენტიანია და ითვალისწინებს მინიმუმ სამი კომპონენტით შეფასებას. შეფასების დეტალური აღწერა მოცემულია უნივერსიტეტის თვითშეფასების ანგარიშში, რომელიც სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. შეფასების თითოეული კომპონენტისთვის დადგენილია მინიმალური ზღვარი, ანუ შესაბამისად, შუალედური და დასკვნითი შეფასებებისთვის. დასკვნითი შეფასებისთვის ეს ზღვარი არ აღემატება მისთვის განსაზღვრული ქულების 60%-ს. დასკვნითი შეფასების ხვედრითი წილი არ აღემატება 30 ქულას. დასკვნითი შეფასება კურსის სავალდებულო კომპონენტია. შეფასება 100-ქულიანი სისტემით მიმდინარეობს. ქულები გადანაწილებულია და განისაზღვრება ამგვარად:

(A) ფრიადი - შეფასების 91-100 ქულა;

(B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;

(C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;

(D) დამაკმაყოფილებელი -მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;

(E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა;

(FX) ვერ ჩააბარა, მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;

(F) ჩაიჭრა, მაქსიმალური შეფასების 40 ქულა ან ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

დასკვნითი შეფასების ნაწილში სტუდენტს გამოცდაზე გასვლის შესაძლებლობა მხოლოდ მაშინ ეძლევა, თუ ის შუალედური შეფასებით გადალახავს მინიმალური კომპეტენციის ზღვარს.

წარმოდგენილი სილაბუსების გაცნობისას და სასწავლო კურსების განმახორციელებლებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ როგორც აკადემიური, ისე მოწვეული პერსონალი სილაბუსების ფორმირებისას მაქსიმალურად ითვალისწინებს სასწავლო კურსის სპეციფიკას. სტუდენტთა შეფასების ნაწილში მხედველობაში მიიღება აკადემიური ეთიკის წესები, რომლის დაცვა ყველა სტუდენტს მოეთხოვება და აღნიშნულ წესებთან დაკავშირებით მათი ინფორმირება უზრუნველყოფილია.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადების, შეფასების და დაცვის საკითხები მიმოხილულია სხვადასხვა დებულებებში. სტუდენტის სამაგისტრო ნაშრომის საბოლოო შეფასებას ახდენს კომისია, რომლის შექმნის წესიც შემუშავებული აქვს უნივერსიტეტს, კონკრეტულად, სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში აღწერილია შეფასების კომპონენტები (გვ. 5): სემინარის ხელმძღვანელის შეფასება (25 ქულა), ნაშრომის ხელმძღვანელის შეფასება (25 ქულა), რეცენზენტის შეფასება (25 ქულა) და სამაგისტრო ნაშრომის დაცვა (25 ქულა). თუმცა დოკუმენტში არაა მითითებული, რომ ნაშრომის შეფასება ხორციელდება ერთიანად, დასკვნითი შეფასებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის №3 ბრძანების მუხლი 4^2-ის მეორე ქვეპუნქტის თანახმად). სასურველია, რომ აღნიშნული მკაფიოდ იქნეს გაწერილი სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში, რათა არ შეიქმნეს შთაბეჭდილება, რომ სამაგისტრო ნაშრომის სემინარის ხელმძღვანელის შეფასების ქულა უფრო ადრე შეიძლება იქნეს მიღებული.

აღსანიშნავია, რომ სამაგისტრო სწავლების საფეხურზე შესაძლებელია სტუდენტმა გაასაჩივროს მიღებული შეფასება. ინტერვიუს დროს დადასტურდა, რომ სტუდენტები იცნობენ აღნიშნულ წესს, თუმცა ინტერვიუზე დამსწრე სტუდენტებს/კურსდამთავრებულებს არ გამოუყენებიათ გასაჩივრების უფლება. განხორციელებული ვიზიტის ფარგლებში დადასტურდა, რომ დაწესებულებაში აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, აგრეთვე სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებით დაწესებულებაში არსებული შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციის ქმედითობა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;

- სასწავლო კურსების სილაბუსები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- ვიზიტის დროს წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, რომ სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში მკაფიოდ გაიწეროს, რომ სამაგისტრო ნაშრომის შეფასება ხორციელდება ერთიანად, დასკვნითი შეფასების მეშვეობით, რომელიც დოკუმენტში მითითებულ ოთხივე ელემენტს მოიცავს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
2.4 სტუდენტების შეფასება	☑	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისთვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობის გაწევა სათანადო ხარისხით.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ვიზიტის განხორციელების დროს დადასტურდა, რომ უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა მხარდაჭერის სხვადასხვა სერვისი, რომელიც პირდაპირ კავშირშია სასწავლო პროცესთან. ვიზიტის განხორციელების დროს მოხდა ინტერვიუების ჩატარება, პროგრამის შესახებ წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობა, პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრება, რის საფუძველზეც დადგინდა, რომ სტუდენტებს მოცემული პროგრამების ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა, მიიღონ ყველა ის საჭირო დახმარება და კონსულტაცია, რომელიც აუცილებელია სასწავლო პროცესის დასაგეგმად და განსახორციელებლად. სასწავლო პროცესის სრულფასოვნად განსახორციელებლად სტუდენტებს დახმარებას უწევს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი. ამავე დროს, პროცესში აქტიურად ჩართულია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლები, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით უზრუნველყოფენ სტუდენტებისთვის თუ კურსდამთავრებულებისთვის ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას როგორც სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, ასევე, შემდგომი კარიერული განვითარების თვალსაზრისით.

დაწესებულებაში, ასევე, არის პროგრამის კორდინატორი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობს სტუდენტებთან. სტუდენტებს კორდინატორთან პირადი კომუნიკაციის გარდა, შეუძლიათ ისარგებლონ ელ-ფოსტით, ელექტრონული სისტემა „არგუსით“ ან შესაძლებლობა აქვთ, დაუკავშირდნენ მას ფაკულტეტის საინფორმაციო ცენტრის ტელეფონის მეშვეობით. დაწესებულებას ასევე აქვს შემუშავებული სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, რომელშიც განსაზღვრულია სტუდენტის უფლება-მოვალეობები.

სტუდენტები ინფორმირებული არიან საკონსულტაციო საათების შესახებ, რომელიც გაწერილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.
ხაზგასასმელია ის ეფექტიანი უკუკავშირი, რომელიც არსებობს პროგრამის ადმინისტრაციულ და აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტებს შორის. სტუდენტები ასევე ჩართულნი არიან სასწავლო პროცესის შეფასებაში. აღსანიშნავია დაწესებულებაში არსებული ელექტრონული სისტემა ,,არგუსი", რომელიც საშუალებას აძლევს სტუდენტს, აქტიურად ჰქონდეს წვდომა საინფორმაციო სიახლეებზე და, ამავე დროს, ამომწურავი ინფორმაცია მიიღოს სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე.
სტუდენტებთან ინტერვიუს ჩატარების შედეგად დადგინდა, რომ სტუდენტთა ინფორმირების მიზნით ეფექტიანად გამოიყენება ოფიციალური ელექტრონული ფოსტა, რომლის მეშვეობითაც სტუდენტები რეგულარულად იღებენ ინფორმაციას სასწავლო პროგრამის თუ პროცესის მიმდინარეობაზე. ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ასევე, სტუდენტებს ინფორმაცია აქვთ სხვადასხვა სამსახურის მიერ გამოცხადებულ ვაკანსიებთან დაკავშირებით. სტუდენტებს სხვადასხვა საკომუნიკაციო წყაროს მეშვეობით მიეწოდებათ დეტალური ინფორმაცია ჩატარებული, მიმდინარე და დაგეგმილი სტუდენტური კონფერენციების, დაგეგმილი კვლევითი პროექტების და საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების თაობაზე.
უნივერსიტეტი მჭიდროდ თანამშრომლობს საერთაშორისო და ადგილობრივ პარტნიორებთან და ხელს უწყობს სტუდენტებს როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა სახის სამეცნიერო აქტივობებში მონაწილეობის მიღებაში, რაც დადასტურდა ხარისხის სამსახურის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას და სტუდენტებთან კომუნიკაციის შედეგად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა;
- სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული ბაზა;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია.

რეკომენდაციები:

○

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

○

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	☑	☐	☐	☐

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა

- ➢ სამეცნიერო ხელმძღვანელი, სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით განხორციელებისთვის, სათანადოდ უჭერს მხარს მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს.
- ➢ სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სსიპ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის „გერმანიის კვლევების - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა, რომლიც აკრედიტაციისთვის არის წარმოდგენილი არის ახალი. შესაბამისად, შეფასების ამ ნაწილში ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა სხვა მომიჯნავე საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და პროგრამის

ხელმძღვანელთან ხელმძღვანელთან გასაუბრების შედეგები და დაწესებულებაში მოქმედი სხვადასხვა სახის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები.
სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობა გათვალისწინებულია პროგრამის დამამთავრებელ მე-4 სემესტრში. სამაგისტრო ნაშრომზე მუშაობისას სტუდენტი თავად ირჩევს სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს, პროგრამა სტუდენტებს სთავაზობს სამაგისტრო ნაშრომის თემატიკის შესაბამისი ცოდნის და სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილების მქონე კვალიფიციურ აკადემიური ან მოწვეული პერსონალს.
გამოკითხული კურსდამთავრებულთაგან ყველა ერთმნიშვნელოვნად აღნიშნავდა კმაყოფილებას სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელებთან მიმართებით, ამავე დროს, ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ დაწესებულების წარმომადგენლები მაგისტრანტებს სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესში სრულ მხარდაჭერას უზრუნველყოფდნენ და უწევდნენ კონსულტაციებს სხვადასხვა საკითხზე, რომელიც წერის პროცესში ვლინდებოდა. კურსდამთავრებულები ყურადღებას ამახვილებდნენ ხელმძღვანელთან კომუნიკაციის ხარისხზე და მხარდაჭერის ღონისძიებებზე. ყველა სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი იყენებდა საკონსულტაციო საათებს და საჭიროების შემთხვევაში სტუდენტებთან ამყარებდა როგორც ვერბალურ, ასევე წერილობით კომუნიკაციას. სამაგისტრო პროგრამის სტუდენტები, ასევე, ინფორმირებულები არიან სხვადასხვა სახის სამეცნიერო ბაზების არსებობისა და გამოყენების წესების თაობაზე.

მაგისტრანტის/დოქტორანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მაჩვენებლები	
სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	-
მაგისტრანტების/დოქტორანტების რაოდენობა	-
თანაფარდობა	-

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამა;
- სამაგისტრო ნაშრომის შესრულების, წარდგენისა და შეფასების ინსტრუქცია;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები;
- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი;
- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით.

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	☑	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი

- პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
- პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო- კვლევითი/შემოქმედებითი/ საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.
- პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება, ასევე სათანადო კომპეტენცია პროგრამის სწავლის სფეროში და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.
- პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილ იქნა საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის თანმხლები დანართები და მტკიცებულებები ადამიანური რესურსების ფარგლებში და დადასტურდა დოკუმენტური მასალის მიხედვით აკადემიური და მოწვეული პერსონალის მაღალი კვალიფიკაცია როგორც სწავლა-სწავლების, ისე კვლევის პროცესებში. გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა წარმოდგენილია ინტერდისციპლინური სწავლებისა და კვლევის კონცეფციის ფარგლებში, კურიკულუმის აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა და ჩართვა საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისა და შემდგომში განხორციელების პროცესში განისაზღვრა მათი დარგობრივი კომპეტენციების, კანონმდებლობისა და ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესების შესაბამისად. თვითშეფასების ანგარიშის მტკიცებულებით ნაწილში წარმოდგენილია პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვალიფიკაციის ამსახველი მასალები (აკადემიური, პრაქტიკული და კვლევითი გამოცდილების დამადასტურებელი რეზიუმეები) უკანასკნელი 5 წლის მანძილზე. მათ შორის პროგრამის ხელმძღვანელს აქვს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ექსპერტული გამოცდილება, დარგობრივი კომპეტენციები და ინტერდისციპლინური კვლევითი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების არგუმენტირებული კონცეფცია. ის წარმართავს და განსაზღვრავს:

- პროგრამის შემუშავებისა და განვითარების პროცესს;
- პროგრამის ჯგუფთან ერთად პროგრამის განვითარების შესაძლებლობებს;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების პროცესს;
- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დასრულების შემდგომ ფაკულტეტის საბჭოს წინაშე საგანმანათლებლო პროგრამის წარდგენის პროცესს.

საგანმანათლებლო პროგრამის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელია მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტი.

საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კონკურსის წესით შერჩეული მაღალკვალიფიციური (რაც დასტურდება მათი პირადი საქმეებითა და სამუშაოს აღწერილობის დოკუმენტით) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, მათ შორის, დეკანი, დეკანის თანაშემწე,

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი, სტუდენტთა კოორდინაციის სამსახური და საქმის წარმოების და ფინანსური სამსახურები, სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების ჯგუფი.
პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა გაწერილია მათი კომპეტენციებისა და კვლევითი გამოცდილების მიხედვით, რაც შემდგომში უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო და კვლევითი პროცესების მართებულად დაგეგმვასა და სათანადოდ წარმართვას.
დაწესებულებას შემუშავებული აქვს ფაკულტეტების სპეციფიკიდან გამომდინარე პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის ყოველსემესტრული სრული დატვირთვის სქემა, რომელიც მუშავდება ყოველსემესტრულად ფაკულტეტის ადმინისტრაციის მიერ, რომელშიც გათვალისწინებულია მოწვეული და აკადემიური პერსონალის ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები.

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის, აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული პერსონალი)	**პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით პერსონალი[6]**	**მათ შორის, დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი[7]**	**მათ შორის აფილირებული აკადემიური პერსონალი**
სულ აკადემიური პერსონალი	**19**			**19**
- პროფესორი	9	11	11	9
- ასოცირებული პროფესორი	8	5	4	8
- ასისტენტ-პროფესორი	2	2	1	2
- ასისტენტი	-	-	-	-
მოწვეული პერსონალი	9	9	2	-
სამეცნიერო პერსონალი	-			-

ფაკულტეტის ადმინისტრაციას ასევე შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის საქმიანობის შეფასების მექანიზმი, რომლის თანახმადაც დგინდება პერსონალის ყოველწლიურ ვალდებულებები როგორ სასწავლო, ისე კვლევით საქმიანობასთან და დაკავებულ აკადემიურ პოზიციასთან მიმართებაში.
ინსტიტუციას შემუშავებული აქვს სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია, რომლის თანახმადაც პროგრამაზე სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას სამაგისტრო საფეხურისთვის გათვალისწინებულია სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შემდეგი თანაფარდობა ჰუმანიტარული მიმართულების პროგრამებისთვის - 1 პროფესორი არაუმეტეს 40 სტუდენტზე. პროგრამის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვისას პროგრამის სამუშაო ჯგუფმა იხელმძღვანელა ზემოაღნიშნული წესითა და მეთოდოლოგიით. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ პროგრამა მომსახურებას გაუწევს 15 აპლიკანტს. წინამდებარე დათქმიდან გამომდინარე პროგრამაში ჩართული აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა (19/9) სავსებით საკმარისია პროგრამის მდგრადობის განსასაზღვრად, ისევე როგორც სავარაუდო მისაღები კონტიგენტისა და კვლევითი ნაშრომის ხელმძღვანელების თანაფარდობა (19/15) პასუხობს სამაგისტრო ნაშრომის კონცეფციაში განსაზღვულ მეთოდოლოგიას და კვლევითი ნაშრომის სამუშაო დატვირთვას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი და მეთოდოლოგია;

[6] ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი
[7] ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტების განმახორციელებელი შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი

- აკადემიური პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები;
- ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის სამუშაო აღწერილობები;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობასთან მიმართებით;
- აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები;
- მოწვეული პერსონალის სამსახურში მიღების წესი;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- აკადემიური პროგრამების ხელმძღვანელებისა და სამუშაო ჯგუფების საქმიანობის წესი;
- ვიზიტის პროცესში წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.1 ადამიანური რესურსი	☑	☐	☐	☐

4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია

მაგისტრანტსა და დოქტორანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი/თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ექსპერტთა ჯგუფის მიერ დარგობრივად იქნა შესწავლილი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები და გამოითქვა მოსაზრება, რომ პოტენციურ მაგისტრანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელები, რომელთაც კონკრეტული კვლევების მიმართულებით აქვს კვლევითი გამოცდილება, რაც დასტურდება მათი პუბლიკაციებითა და კვლევითი პროექტებით. ინსტიტუციას შემუშავებული აქვს კონკრეტული საკვალიფიკაციო მოთხოვნები საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელების მიმართ, რაც თავმოყრილია საგანმანათლებლო პროგრამის საკვალიფიკაციო ნაშრომის კონცეფციაში, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელის მიმართ წაყენებული მოთხოვნები ითვალისწინებს შესაბამისი სწავლის საფეხურსა და საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკას, არის გამჭვირვალე და დეტალურად ჩამოყალიბებული.

საკვალიფიკაციო ნაშრომის ხელმძღვანელი შესაძლებელია იყოს:

- ➢ პროგრამაში ჩართული აკადემიური ან მოწვეული პერსონალი, რომელიც აღჭურვილია დარგის სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე უახლესი ცოდნით, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი, რომელიც შეესაბამება სამაგისტრო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას.
- ➢ შესაბამისი მიმართულების ან დარგის მკვლევარი, რომელსაც აქვს ბოლო ორი წლის განმავლობაში საერთაშორისო ბაზებში (SCOPUS, EBSCOHost და სხვ.) შემავალ ჟურნალებში პუბლიკაცია.

ხელმძღვანელი ვალდებულია:

- ➢ სტუდენტს გაუწიოს რეგულარული კონსულტაციები, რომელთა სიხშირე განისაზღვრება სამაგისტრო ნაშრომის თემის სპეციფიკით. ხელმძღვანელი კონსულტაციას უწევს სტუდენტს ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, როგორიცაა კვლევის დიზაინი, კვლევის განხორციელება

და სამაგისტრო ნაშრომის წერის პროცესი. ასევე, ახდენს სტუდენტის კონსულტირებას სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესში;

- ➢ შეაფასოს სტუდენტის მუშაობის პროგრესი და მისცეს კონსტრუქციული და დროული უკუკავშირი;
- ➢ წარმოადგინოს ნაშრომის შესახებ დასკვნა და შეფასება.

პროგრამას თან ახლავს სამაგისტრო ნაშრომის დოკუმენტი, სადაც დეტალურად არის აღწერილი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, უფლება-მოვალეობები, პასუხისმგებლობები, ხელმძღვანელობის პროცესის აღწერა და შესაბამისი დოკუმენტები.

ვიზიტის პროცესში წინამდებარე მოთხოვნები დადასტურდა აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიერ, ისევე როგორ დაწესებულებაში მოქმედ ანალოგიური პროგრამების სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან ინტერვიუების პროცესში. დაწესებულებამ წარმოადგინა იმ აკადემიურ პირთა ჩართულობით მომზადებული საკვალიფიკაციო ნაშრომები, რომლებიც სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტების შემდგომ, მონაწილეობას მიიღებენ საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში და უხელმძღვანელებენ საკვალიფიკაციო ნაშრომებს.

წარმოდგენილი საკვალიფიკაციო ნაშრომები იყო აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით მომზადებული და შეიცავდა მაგისტრანტების მიერ დამოუკიდებლად მომზადებულ ანალიზურ და მცირე ფორმატის კვლევით ნაწილს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- აკადემიურ თანამდებობაზე კონკურსის ჩატარების წესი და აკადემიურ თანამდებობაზე დასაქმების პირობები;
- აკადემიური პერსონალის ხელშეკრულების ნიმუშები;
- აკადემიური პერსონალის პირადი საქმეები;
- ფაკულტეტის ვებგვერდი: faculty.iliauni.edu.ge.

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.2 მაგისტრანტისა და დოქტორანტის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია	☑	☐	☐	☐

4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება

- ➢ დაწესებულება რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შედეგების ანალიზს.
- ➢ უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე, ასევე ხელს უწყობს მათ მიერ სამეცნიერო/კვლევითი საქმიანობის განხორციელებას.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

პერსონალის შეფასების წესი განსაზღვრულია ფაკულტეტის მიერ, რომლის მიხედვითაც, მონაცემების წარმოება და ანალიზი გამოიყენება აკადემიური/პროფესიული პერსონალის პროფესიული განვითარებისთვის და ინსტიტუცია უზრუნველყოფს პერსონალის განვითარებას სხვადასხვა მიმართულებით (სამეცნიერო, სწავლების მეთოდოლოგია და სხვ.). პერსონალის შეფასებას ახდენს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სასწავლო პროცესის შეფასებისა და განვითარების სამსახური,

ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს ახლადმოწვეული მასწავლებლების პერიოდულ კოლეგიალურ შეფასებას, კონკრეტულად, მათ ლექციებს ესწრებიან გამოცდილი პროფესორები, მათ შორის, პროგრამის ხელმძღვანელები და უკუკავშირს აწვდიან მასწავლებლებს როგორც ზეპირად, ისე წერილობით.

დაწესებულებაში მოქმედებს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია, რომლის მეშვეობითაც, პერსონალს საშუალება აქვს ინტეგრირდეს საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში. უნივერსიტეტს წარმოდგენილი აქვს საერთაშორისო თანამშრომლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია მემორანდუმები. განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიური პერსონალის ჩართულობა საერთაშორისო პროექტებში (როგორც მოკლევადიანი, ისე გრძელვადიანი მობილობისა და პროექტების მხრივ).

აკადემიური და მოწვეული პერსონალის კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას ემსახურება რეცენზირებადი ჟურნალი «კადმოსი“ (https://kadmos.iliauni.edu.ge/index.php/kadmos/about), რომელიც ფინანსურად მხარდაჭერილია ინსტიტუციის მხრიდან. ჟურნალის მიზნად ისახავს ქართველოლოგიური კვლევების წახალისებას სხვადასხვა მიმართულებით, მათ შორის, ლიტერატურათმცოდნეობის, ენათმეცნიერების, ფილოსოფიის, კულტურულ ანთროპოლოგიის (ეთნოგრაფია, ეთნოლოგია და მითოლოგია) და ისტორიის (არქეოლოგია) მიმართულებით. ზემოხსენებული სამეცნიერო პუბლიკაცია მოძიებადია EBSCOHost-ის სიაში, იხ. https://www.ebsco.com/products/research-databases/humanities-source-ultimate.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარების ხელშეწყობის მიზნით უნივერსიტეტში მუშაობს პიროვნული და პროფესიული განვითარების ცენტრი (PPDC), რომელიც უზრუნველყოფს სწავლების პროცესში ჩართული პერსონალისთვის სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასთან დაკავშირებული ტრენინგ-მოდულების შეთავაზებას.

აკადემიური და მოწვეულ პერსონალისთვის ტრენინგების შეთავაზება ხდება პერიოდულად, თითოეულ სემესტრში.

ვიზიტის პროცესში ინტერვიუებით დადგინდა, რომ ცენტრის ტრენინგებში მონაწილეობა მიიღო პროგრამაში ჩართულმა ექვსმა აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის განვითარებაზე ზრუნავს ასევე სამეცნიერო კვლევების კოორდინაციისა და განვითარების სამსახური, ისევე როგორც საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური. ეს უკანასკნელი უზრუნველყოფს საერთაშორისო ინსტიტუტებთან თანამშრომლობას და ხელს უწყობს დაწესებულების ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკას.

სამეცნიერო კვლევების კოორდინაციის სამსახური აქტიურად მუშაობს სამეცნიერო-კვლევითი პროექტების მოზიდვისა და განხორციელების მიმართულებით. ამავე სამსახურის მიერ იგეგმება და მუშავდება შიდა დაფინანსების მექანიზმები, ხორციელდება სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების პროცესის ადმინისტრაციული მხარდაჭერა.

განვითარების სამსახური ხელს უწყობს უნივერსიტეტის მკვლევრებისა და სამეცნიერო პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში კვლევის მიმართულებით და უზრუნველყოფს შესაბამისი დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებას და მოზიდვას. იგი ახორციელებს ასევე ცალკეულ მხარდამჭერ სერვისებს: დახმარება საპროექტო განაცხადების მომზადებასა და წარდგენაში; საერთაშორისო კვლევითი კონსორციუმების ფორმირება; გრანტების ადმინისტრირებაში დახმარება; კვლევით ჯგუფებთან და დონორებთან ურთიერთობების გაღრმავება; საერთაშორისო სამეცნიერო და კვლევითი შეხვედრების ორგანიზება; საერთაშორისო კვლევით ინსტიტუტებთან და ცენტრებთან თანამშრომლობის ხელშეწყობა; ინფორმაციის გავრცელება საერთაშორისო შესაძლებლობების შესახებ.

წინამდებარე სამსახური თანამშრომლობს მთე რიგ საერთაშორისო დონორებთან, კერძოდ, ევროკომისია, ჰორიზონტი 2020, ჰორიზონტი ევროპა, ერასმუს+, ტემპუსი, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო, საქართველოს სამეცნიერო- ტექნოლოგიური განვითარების ფონდი, ბოტანიკური ბაღის მცენარეთა კონსერვაციის სამეცნიერო საბჭო, აშშ-ის სამოქალაქო კვლევებისა და განვითარების ფონდის (CRDF), ფონდი „ღია საზოგადოება საქართველო“, შვეიცარიის ეროვნული სამეცნიერო ფონდი (SNSF), ევრაზიის ფონდი, საერთაშორისო მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ცენტრი, ფოლკსვაგენის ფონდი, ვიშეგრადის ფონდი, საქართველოში აშშ-ის საელჩო, ნატო, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტო (USAID), კავკასიის შვეიცარიული აკადემიური ქსელი (ASCN), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), და სხვადასხვა ევროპული თუ ამერიკული უნივერსიტეტები. აღსანიშნავია, რომ ბოლო 12 წლის განმავლობაში დარეგისტრირებულია 264 გრანტი, რომელთა 33,31% არის კვლევითი გრანტი.

პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი ჩართულია შემდეგ პროექტებში: ფუნდამენტური პროექტები - სოციალური შეჭიდულობის ძიება საქართველოს მცირე ურბანულ დასახლებებში (ოლივერ რაისნერი); თბილისი როგორც ურბანული თანაკვეთის სივრცე (ქეთევან გურჩიანი). ილიაუნის ინსტიტუციური განვითარების გრანტები: შავი ზღვის სივრცის რეპრეზენტაცია ქართულ ლიტერატურასა და ისტორიოგრაფიაში: ვირტუალური რუკა (სატესტო ვერსია) (ბელა წიფურია). შავი ზღვა როგორც ლიტერატურული და კულტურული სივრცე (მზაღო დოხტურიშვილი / ბელა წიფურია); ქართველთა კულტურული ნაკვალევი გერმანიაში (ლევან ცაგარელი).

2017 წელს უნივერსიტეტში შეიქმნილი უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე უნივერსიტეტი ყოველწლიურად გამოყოფს ინსტიტუციური განვითარების გრანტებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის მიერ წარდგენილი პროექტებისთვის.

ერთი მხრივ, დაწესებულება უზრუნველყოფს საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში უნივერსიტეტის პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობას, ხოლო, მეორე მხრივ, თავად უწევს ორგანიზებას საერთაშორისო და ადგილობრივ კონფერენციებს, საზაფხულო სკოლებსა და ვორქშოფებს. კონფერენციებში მონაწილეობის და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნებების ფინანსური მხარდაჭერა ხორციელდება ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო ,,სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და საერთაშორისო ჟურნალებში სამეცნიერო სტატიის გამოქვეყნების დაფინანსების წესით".

სააკრედიტაციოდ წარმოდგენილი სამაგისტრო პროგრამის განხორციელებაში ჩართული აქტიური პროფესორებისა და მოწვეული ლექტორების სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებელი ბოლო 5 წლის განმავლობაშია 545 (აქედან ადგილობრივ ჟურნალებში გამოქვეყნებული სტატიები/ნაშრომები/წიგნები - 77, საერთაშორისო ჟურნალებში გამოქვეყნებული ნაშრომები - 77, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის მაჩვენებელია 270, სხვა სამეცნიერო კვლევითი მაჩვენებელი კი - 121). ახალგაზრდა მკვლევრების მოტივაციის გაზრდის მიზნით დაწესებულია ჯილდო - პასკალის პრემია, დარგში გამოქვეყნებული განსაკუთრებული სამეცნიერო პუბლიკაციისთვის, აქვე სახელდება შიდა ინსტიტუციური განვითარების გრანტიც, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა მონაწილეობას კვლევის პროცესში.

საბოლოო ჯამში შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულება უწყვეტად აფასებს პერსონალს, აანალიზებს შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის გასაუმჯობესებელ გეგმას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის განვითარების სამსახურის დებულება: https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46621.pdf
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის შეფასების წესი;
- სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასებისა და საუნივერსიტეტო დაფინანსების წესი: https://iliauni.edu.ge/uploads/other/46/46426.pdf
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების პლატფორმა: https://research.iliauni.edu.ge/ka
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის კვლევითი სტრატეგია: https://research.iliauni.edu.ge/ka/about#section-1; https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/researchoffice;
- ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურის დებულება: https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/units/foreignrelations;
- ჟურნალ „კადმოსის" შესახებ: https://kadmos.iliauni.edu.ge/index.php/kadmos/about
- მემორანდუმები;
- პერსონალის განმავითარებელი ღონისძიებები;
- ვიზიტის დროს წარმართული ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	☑	☐	☐	☐

4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უსდ-ში არსებული საბიბლიოთეკო, მატერიალური და ტექნიკური რესურსი აკმაყოფილებს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია საგანმანათლებლო პროგრამის ყველა სასწავლო კურსისთვის არსებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალები. ამდენად, არსებული საბიბლიოთეკო და ტექნიკურ-მატერიალური რესურსი პროგრამის სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომია და ის უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

მომიჯნავე სპეციალობის სტუდენტებთან ასევე პროფესორ-მასწავლებლებთან ინტერვიუირების შედეგად ირკვევა, რომ მათ შეუძლიათ, გამოიყენონ სასწავლო აუდიტორიები, საფაკულტეტო მულტიმედიაცენტრი, კომპიუტერული რესურს-ცენტრი. სტუდენტები ინფორმირებულნი არიან აღნიშნული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის არსებობისა და მისი გამოყენების შესაძლებლობის შესახებ. შესაბამისად, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სტუდენტებს შესაძლებლობა აქვთ ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით.

უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფილია საინფორმაციო საკომუნიკაციაო ტექნოლოგიებით და მოიცავს:

- სამკითხველო დარბაზებს: ილიას დარბაზი (მრავალფუნქციური), ალექსანდრე ქართველის დარბაზი, სულხან-საბა ორბელიანის დარბაზი (მრავალფუნქციური), ლიტერატურის დარბაზი ,,ლიგამუსი", ნიდერლანდური ენისა და კულტურის ცენტრის დარბაზი, გიორგი წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის დარბაზი, ავსტრიული ცენტრის დარბაზი, იტალიური ენის ცენტრის დარბაზი, იაკობ გოგებაშვილის დარბაზი, ბოტანიკის ინსტიტუტის დარბაზი;
- ჯგუფური მუშაობის სივრცეს სულხან-საბა ორბელიანის დარბაზში;
- სულხან-საბას დარბაზში მოქმედებს მულტიმედია რესურსებითა და შესაბამისი ტექნიკით აღჭურვილი კუთხე;
- ორი კომპიუტერული რესურს-ცენტრი, სადაც კომპიუტერები ხელმისაწვდომია ღია დაშვებით;
- საბიბლიოთეკო სივრცეში, კერძოდ, ორ კომპიუტერულ რესურს-ცენტრში ფუნქციონირებს ასლის გადაღებისა და ამობეჭდვის ორი პუნქტი (სულ სამი ასლგადამღები);
- შეხვედრებისა და ტრენინგების ოთახი, რომელიც მდებარეობს ილიას დარბაზში;
- წიგნსაცავებს, რომელიც განთავსებულია როგორც დარბაზებთან, ასევე დამოუკიდებლად.

უსდ-ს ყველა სტუდენტს აქვს შესაძლებლობა, ისარგებლონ საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზებით EBSCO Publishing, Cambridge University Journals,ScienceDirect, JStor, Clarivate Analytics (Journal Citation Reports), Scopus, eHraf World Culture, Humanities Source და სხვა.

სასწავლო პროცესის მართვისა და მხარდაჭერის მიზნით უნივერსიტეტში მოქმედებს სპეციალურად შექმნილი პროგრამული სისტემა „არგუსი" - არჩევანის გარემოს უზრუნველყოფის სისტემა, რომლის მეშვეობითაც ხორციელდება ყველა სტუდენტის რეგისტრაცია, მათთვის სასწავლო კურსების შეთავაზება, ელექტრონული სასწავლო მასალებისა და სასწავლო კურსების სილაბუსების განთავსება.

უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალი უზრუნველყოფილია პირადი სამუშაო სივრცით, რომელიც გამოიყენება სტუდენტებთან ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციებისთვის.
სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა ამასთანავე იყენებს უნივერსიტეტის შემდეგი კვლევითი ინსტიტუტებისა და ცენტრების რესურსებს: *შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი, სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტი, კავკასიის კვლევების საერთაშორისო სკოლა, ავსტრიული ბიბლიოთეკა.*

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სასწავლო პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა „არგუსი" http://argus.iliauni.edu.ge/
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და სამეცნიერო ბაზები: http://library.iliauni.edu.ge
- ინფრასტრუქტურის, ტექნიკური აღჭურვილობის და წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტები (ხელმისაწვდომია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და მატერიალური რესურსების სამსახურში);
- საერთაშორისო ელექტრონულ ბაზებთან დადებული ხელშეკრულებები;
- შედარებითი ლიტერატურის ინსტიტუტი https://research.iliauni.edu.ge/ka/institution/3-shedarebiti-literaturis-instituti
- სოციალური და კულტურის კვლევების ინსტიტუტი https://research.iliauni.edu.ge/ka/institution/18-sotsialuri-da-kulturis-kvlevebis-instituti
- კავკასიის კვლევების საერთაშორისო სკოლა https://research.iliauni.edu.ge/ka/institution/5-kavkasiis-kvlevis-saertashoriso-skola
- ავსტრიული კულტურის ცენტრი https://iliauni.edu.ge/ge/iliauni/AcademicDepartments/mecnierebata-da-xelovnebis-fakulteti-269/centrebi-588/avstriuli-kulturis-centri

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.4 მატერიალური რესურსი	☑	☐	☐	☐

4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დასტურდება, რომ გერმანისტიკის კვლევების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტში გათვალისწინებულია ფინანსური მხარდაჭერის წყაროები და გაწერილია: აკადემიური/მოწვეული პერსონალის შრომის ანაზღაურება; პროგრამისთვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენახვა-სრულყოფის საკითხები; სამივლინებო და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის ხარჯები (როგორც აკადემიური პერსონალისთვის, ისე სტუდენტებისთვის); წიგნების ფონდისა და მისი განახლების, გამომცემლობითი, სამეცნიერო-კვლევითი ხარჯები.
საჭიროების შემთხვევაში, მცირებიუჯეტიანი პროგრამისთვის საჭირო ხარჯები დაიფარება ფაკულტეტის ან/და უნივერსიტეტის ძირითადი ბიუჯეტიდან.
საბიბლიოთეკო რესურსის განახლების ხარჯი, ასევე, გათვალისწინებულია უნივერსიტეტის ცენტრალურ ბიუჯეტში. ამასთანავე, პროგრამის გარკვეული სასწავლო კურსები თანხვედრაშია ამავე საფეხურის სხვა საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო კურსებთან, რაც ითვალისწინებს

ხარჯების გადანაწილებას პროგრამებს შორის და ამცირებს ცალკეული პროგრამის რეალურ დანახარჯებს.
საგანმანათლებლო პროგრამას დაგეგმილი აქვს პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ მოემსახუროს 15 სტუდენტს. სწავლის საფასური განსაზღვრულია საქართველოს კანონმდებლობით. ფინანსური შემოსავლის 46% წარმოადგენს სწავლებასთან დაკავშირებულ სახელფასო ხარჯს, რომლის ფარგლებში სახელფასო ხარჯების ¾ წილი მოდის აკადემიური პერსონალის, ხოლო ¼ - მოწვეული ლექტორების სახელფასო ანაზღაურებაზე. ადმინისტრაციული ხარჯები შეადგენს საერთო შემოსავლების 27%-ს, ხოლო საბიბლიოთეკო რესურსების გაასახლებლად იხარჯება საერთო შემოსავლის 9%, ინფრასტრუქტურის განახლებაზე - 8%. ფაქტობრივად, ძალიან მცირეა ხარჯები, რომლებიც გაღებულია პროგრამულ უზრუნველყოფაზე (0,8%), რაც სასურველია გადაიხედოს დაწესებულების მხრიდან, რადგან საგანმანათლებლო პროგრამა თავისი ინტერდისციპლინური ხასიათით და სწავლების მეთოდოლოგიით ორიენტირებულია სწავლისა და კვლევის პროცესში ინოვაციური მეთოდების ჩართვაზე.
დაწესებულების მენჯმენტთან ინტერვიუს შემდგომ დადასტურდა, რომ პროგრამის ბიუჯეტში შესაძლებელია ცალკელი საბიუჯეტო დანახარჯების საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებიდან გამომდინარე ჩანაცვლება, რაც მხარდაჭერილი იქნება დაწესებულების ბიუჯეტიდან.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, გადაიხედოს ბიუჯეტში პროგრამულ უზრუნველყოფაზე გამოყოფილი ხარჯები.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
4.5 პროგრამის/ ფაკულტეტის/ სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	☑	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1. შიდა ხარისხის შეფასება

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საერთაშორისო სტანდარტებისა და ნორმების, ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში მოქმედი კანონმდებლობისა და საუნივერსიტეტოს რეგულაციების შესაბამისად, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური საკუთარ ქმედებასა და აქტივობას ახორციელებს რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ, სწავლა-სწავლება, კვლევა, მართვა და სერვისები. სამსახური მუდმივად აახლებს ცალკეულ ნორმატიულ დოკუმენტებს წინამდებარე პროცესების სრულყოფილად განვითარების მიზნით, შესაბამისად, მომზადებულია და შეთავაზებულია კონკრეტული რეგულაციები, პროცედურებისა და პროცესების აღმწერი სახელმძღვანელო დოკუმენტები, რაც უწინარესად უზრუნველყოფს ინსტიტუციაში ხარისხის კულტურის ამაღლებას.

ემყარება რა უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებს, დარგების სპეციფიკას, საზოგადოების მოთხოვნებსა და უახლეს გამოწვევებს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მუდმივი და აქტიური ქმედებით მხარს უჭერს თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის სრულყოფილად ფუნქციონირებას, არეგულირებს, აწესრიგებს და მართავს ყველა მნიშვნელოვან აკადემიურ პროცესს; საკუთარ თავზე იღებს მართვის პოზიციებს უნივერსიტეტის ხარისხის კულტურის ამაღლების პროცესში, გეგმავს, აახლებს, ანვითარებს და აზიარებს სიახლეებსა და ინოვაციებს, რაც გაზიარებულია როგორც აკადემიური, ისე ადმინისტრაციული და სტუდენტური საზოგადოების მხრიდან. სამსახური ინდივიდუალურად ხედავს და აფასებს კონკრეტულ პროცესებს ცალკეულ ფაკულტეტზე და კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, ავითარებს მათ და ამდენად, მხარს უჭერს დაწესებულებას სწავლა-სწავლების, კვლევისა და სერვისების პროცესების გაუმჯობესებაში.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ლიდერულ პოზიციაზე ინსტიტუციის ფარგლებში ეტაპობრივად მართავს და დეტალურად განსაზღვრავს საკუთარი ქმედებისა და საქმიანობის სფეროებსა და არეალს, რაც ექსპერტთათვის ხელმისაწვდომი გახდა კონკრეტული წესებისა და მარეგულირებელი დოკუმენტების გაცნობის შემდეგ:

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების შეფასების წესი;
- საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების კრიტერიუმები უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულებაში;
- შიდა ხარისხის უზრუნვლყოფის კონცეფცია, სტუდენტური სერვისების მიწოდების, შეფასების და ანგარიშგების წესი.

მოცემული დოკუმენტების შემუშავება მოხდა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და სახელმძღვანელო პრინციპების (ESG), საქართველოს კანონის უმაღლესი განათლების შესახებ, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციისა და უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების, უნივერსიტეტის წესდების, მისიის, სტრატეგიული განვითარების გეგმის, სამოქმედო გეგმისა და სხვა საუნივერსიტეტო რეგულაციების მიხედვით.

პროგრამის შემუშავების პროცესში პროგრამის მხარდამჭერი საინიციატივო ჯგუფი ხელმძღვანელობდა ენის დაუფლების მინიმალური სტანდარტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტით. დაიგეგმა და განხორციელდა შრომის ბაზრის კვლევა კონკრეტული მეთოდოლოგიით, რომელმაც აჩვენა სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულებზე არსებითი მოთხოვნა, გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში შესაძლოა კურსდამთავრებულს ჰქონდეს გამომუშავებული როგორც პრაქტიკაზე ორიენტირებული უნარები, ისე ინტერდისციპლინური კვლევის ტექნიკები. პროგრამის სამუშაო ჯგუფი აკადემიური პირების აქტიური ჩართულობით, შიდა თვითშეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით შეგროვებულ მონაცემებზე დაყრდნობით მუშაობდა თვითშეფასების ანგარიშსა და შესაბამის დანართებზე; თვითშეფასების ანგარიშის მომზადების პროცესში პროგრამის მხარდამჭერმა ჯგუფმა განსაზღვრა საგანმანათლებლო პროგრამის ძლიერი და სუსტი მხარეები და პროგრამის შემდგომი გაუმჯობესებისა და განვითარების მიზნით დასახა კონკრეტული ღონისძიებები, რომლებიც შესრულებადია.

სახელმძღვანელო დოკუმენტების განახლება ხდება პერიოდულად საგანმანათლებლო სივრცეში (როგორც ქართულ, ისე საერთაშორისო) მიმდინარე სიახლეებისა და უსდ-სთვის წაყენებული ახალი

მოთხოვნების შესაბამისად. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს დეტალურად აქვს სამსახურის მოქმედების შიდა მექანიზმები გაწერილი.
სამსახური მუშაობს პრინციპით: დაგეგმე - განახორციელე-შეამოწმე - განავითარე.
შიდა მექანიზმების საშუალებით ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ატარებს კვლევებს (რის დასტურად წარმოდგენილი იყო თემატური კითხვარები შიდა შეფასებისთვის, ისევე როგორ გამოკითხვის შედეგები), ახორციელებს საგანმანათლებლო პროცესების მონიტორინგს, აანალიზებს კვლევისა და მონიტორინგის შედეგებს და გაანალიზებული ინფორმაციის გაზიარება ხდება პროგრამის განხორციელებაში ჩართულ პერსონალთან. პროგრამის განმახორციელებელი პირები ეცნობიან კვლევის შედეგებს (მათ შორის ბაზრის კვლევის.), ითვალისწინებენ პროგრამით დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს. სამსახური მუდმივ კომუნიკაციაშია პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან და იხილავს არამარტო კვლევის შედეგებსა და მათ გაუმჯობესების საკითხებს, არამედ სამსახურთან ერთად იგეგმება მათი გაუმჯობესების ღონისძიებები, რაც ხელს უწყობს ხარისხის მექანიზმების გაუმჯობესებას. გარდა ამისა ის უზრუნველყოფს არაერთი საუნივერსიტეტო პროცესის მხარდაჭერას.
გამომდინარე იქიდან, რომ საგანმანათლებლო პროგრამა ახალი და მოცემულ ეტაპზე ერთადერთია ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში, მისი შიდა შეფასება სრული ფორმატით არ განხორციელებულა, თუმცა ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუების ფარგლებში ექსპერტებს დაწებულების წარმომადგენლებმა სხვადასხვა თემატური შეხვედრების ფორმატში სხვადასხვა რაკურსში წარმოუდგინეს ხარისხის შიდა მექანიზმების ფუნქციონირების ეტაპები და პროცესები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ ინსტიტუცია მუდმივად ახდენს ხარისხის შიდა შეფასებას კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების სხვადასხვა მექანიზმების ჩართულობით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფცია;
- სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების, დამტკიცების, მასში ცვლილების შეტანისა და გაუქმების წესი და პროცედურები;
- კვლევის ინსტრუმენტები;
- სამუშაო ჯგუფის ოქმები;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.1 შიდა ხარისხის შეფასება	☑	☐	☐	☐

5.2. გარე ხარისხის შეფასება

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამები რეგულარულად იყენებენ გარე შეფასების შედეგებს შემდგომი განვითარების მიზნით. სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად ითვლება, ისევე როგორც ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესი, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების

ეროვნული ცენტრი. შეფასების დროს მიღებული რეკომენდაციები აისახება პროგრამის განვითარების მიზნით. წარმოდგენილი სამაგისტრო საგანმანათლებლო *გერმანიის კვლევები* პროგრამა სტატუსის თანახმად არის ახალი საგანმანათლებლო პროგრამა, შესაბამისად, მას გარე შეფასების ისეთი მექანიზმები როგორიცაა ავტორიზაცია-აკრედიტაცია არ შეხებია.

საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში განმახორციელებელი პირები შეეცადნენ, გარე შეფასების სხვა მექანიზმები აემუშავებინათ საგანმანათლებლო პროგრამის საბოლოო კონცეფციის წარმოდგენამდე. გარე შეფასების აქტივობებიდან უნდა დასახელდეს დამსაქმებელთა რეკომენდაციები, რომელშიც ნათლად ჩანს დამსაქმებელთა დაინტერესება და აქტიური პოზიციონირება საგანმანათლებლო პროგრამის მხარდასაჭერად. შრომის ბაზრის კვლევის შედეგები მიეწოდა პროგრამის განმახორციელებელ პირებს, რომლის საფუძველზე დაკორექტირდა ცალკეული სასწავლო კურსების შედეგებში წარმოდგენილი კომპეტენციები. პროგრამის მხარდამჭერი ჯგუფის მიერ განხილულ იქნა ცალკეული რეკომენდაციები და აისახა საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამის რუბრიკებში.

პერიოდულად პროგრამის განმახორციელებელი პირები რეკომენდაციებსა და რჩევებს ღებულობდნენ უცხოური უნივერსიტეტების პარტნიორებისაგან, რომელთა ჩართულობა მაღალი იყო სხვა საუნივერსიტეტო პროგრამების სასწავლო და კვლევით პროცესებში. მათ შორის უნდა დასახელდეს იენის, დიუსელდორფის, ზიგენისა და უფსალას უნივერსიტეტები. ყველაზე აქტუალური შეფასება იყო წარმოდგენილი იყო პროფ. თომას გრუბის შეფასების დოკუმენტის სახით, სადაც უცხოელი პარტნიორი სიღრმისეულად იძლეოდა საგანმანათლებლო პროგრამის ანალიზს. შეფასების დოკუმენტში ექსპერტმა პროგრამის განმახორციელებელ პირებს შესთავზა არაერთი დარგობრივი კომპეტენციის გამაფართოებელი რჩევა, რამაც გარკვეულწილად ასახვა ჰპოვა საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამის გარე კოლეგიალური შეფასება;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
- პოტენციურ დამსაქმებლებთან ჩატარებული ფოკუს-ჯგუფის ანგარიში;
- კურსდამთავრებულთა და მომიჯნავე დარგის სტუდენტების კვლევის ანგარიშები
- საგანმანათლებლო პროგრამის ბაზარზე მოთხოვნის ანალიზი;
- გერმანიის კვლევების პროგრამის პრაქტიკის კონცეფცია.
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 გარე ხარისხის შეფასება	☑	☐	☐	☐

5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს საკუთარ სახელმძღვანელო დოკუმენტებში დეტალურად აქვს აღწერილი და ეტაპობრივად გაწერილი საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგის პროცესი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური იყენებს როგორც შიდა, ისე გარე შეფასების მექანიზმებს, რომელთა შედეგების დამუშავება და ანალიზი ზუსტ სურათს იძლევა საგანმანათლებლო პროგრამის რეალურ ვითარებაზე. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ შემუშავებულია ასევე შიდა ხარისხის კონცეფცია, რომელიც უშვებს შიდა და გარე აქტორების მონაწილეობას შეფასების (მათ შორის საგანმანათლებლო პროგრამების) პროცესში, შეფასების შედეგების გამოყენება ხდება როგორც სამსახურის საქმიანობის გაუმჯობესებისთვის, ისე უნივერსიტეტში სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული ამოცანების შესასრულებლად.

შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა განიხილავს რამდენიმე პრინციპულ მიდგომას მონიტორინგის პროცესში, კონკრეტულად კი, მონიტორინგის ფარგლებში აქტივობები არის გამჭვირვალე, გაზიარებული, მხარეთა აქტიური ჩართულობით, განგრძობითი, დამყარებული აკადემიურ კეთილსინდისერებასა და თავისუფლებაზე, დაფარული ანგარიშვალდებულებებით.

რაც შეეება ინსტიტუციაში მიმდინარე პერმანენტულ კვლევებს/შეფასებებს, რომლებიც აგებულია თვისებრივ, რაოდენობრივ და შერეულ მიდგომებზე და ითვალისწინებს შემდეგ სტანდარტებს:

- ➢ გამოყენებაზე და საჭიროებაზე ორიენტირებულობა;
- ➢ რეალისტური, ეფექტური და ეფექტიანი განხორციელებადობა;
- ➢ ეთიკურობა;
- ➢ სიზუსტე, მართებულობა;
- ➢ ანგარიშვალდებულება.

მოცემულ სტანდარტებსა და სისტემურობაზე დამყარებული პროცესები იძლევა გრძელვადიანი მონაცემების შეგროვების, დინამიკაზე დაკვირვებისა და განვითარების ტენდენციების განსაზღვრის შესაძლებლობას.

კვლევების შემდგომ მიზნობრივ ჯგუფებთან, განიხილება საბოლოო დასკვნები და რეკომენდაციები, რომლებიც გაზიარებულია როგორც პროგრამის განმახორციელებელ პერსონალთან, ისე ფაკულტეტის ადმინისტრაციასთან შემდგომი რეაგირებისთვის. მონიტორინგის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია საგანმანათლებლო პროგრამა დაექვემდებაროს მოდიფიკაციას.

საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის შემდგომ მონიტორინგის მექანიზმები სრულყოფილად ამოქმედდება, რაც ხელს შეუწყობს საგანმანათლებლო პროგრამის შემდგომ განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია;
- სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ოქმები;
- პროგრამის განხორციელების შეფასების წესი;
- ვიზიტის პროცესში შემდგარი ინტერვიუები.

რეკომენდაციები:

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რეკომენდაციები არა აქვს.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- მოცემულ კომპონენტთან მიმართებით ექსპერტთა ჯგუფს რჩევები არა აქვს.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.3 პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	☑	☐	☐	☐

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☑
	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐

	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	☐
	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან	☐

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში):

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება:
გერმანიის კვლევები - კულტურა, პოლიტიკა, საზოგადოება
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური:
სსიპ-ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობა

შეფასება **სტანდარტები**	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	☐	☑	☐	☐
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	☑	☐	☐	☐
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	☑	☐	☐	☐
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	☑	☐	☐	☐
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	☑	☐	☐	☐

ხელმოწერები:

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის
ნინო ქიმერიძე,

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების
გიორგი თავაძე,

თეონა ბერიძე,

დავით გეგეჭკორი,

დიმიტრი ცანავა,